პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 23 თებერვალი, 1944 წ. № 38 (6932). ფასი 20 კაპ.

**გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს, მის გმირ წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომლებიც წარმატებით ერეკებიან გერმანელ ფაშისტ მტარვალებს ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან!**

**მთელი ძალები მტრის საბოლოო განადგურებისათვის! დეე ჩვენი საბჭოთა სახალხო დროშა მიუძღოდეს ჩვენს ხალხს ახალი გამარჯვებებისაკენ!**

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან წითელი არმიის XXVI წლისთავისათვის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
## უმაღლესი მთავარსარდლისა

1944 წ. 23 თებერვალი № 16 ქ. მოსკოვი

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო, პარტიზანო კაცებო და ქალებო!

წითელი არმიის 26-ე წლისთავს ჩვენი ქვეყნის ხალხები გერმანელ ფაშისტთა ჯარებზე საბჭოთა ჯარების ისტორიულ გამარჯვებათა ვითარებაში ხვდებიან.

ერთ წელზე მეტია, რაც წითელი არმია ძლევამოსილ შეტევას აწარმოებს, ანადგურებს ჰიტლერელ დამპყრობთა არმიებს და ერეკება მათ საბჭოთა მიწა-წყლიდან. ამ ხნის განმავლობაში წითელმა არმიამ წარმატებით ჩაატარა 1942-43 წ. ზამთრის კამპანია, მოიგო 1943 წ. ზაფხულის ბრძოლები და გააჩაღა 1943-44 წლის ზამთრის ძლევამოსილი შეტევა. ომების ისტორიაში ამ უმაგალითო კამპანიებში წითელმა არმიამ ბრძოლებით გაიარა დასავლეთისაკენ ალაგ-ალაგ 1.700-მდე კილომეტრი, გასწმინდა მტრისაგან თითქმის $^3/_4$ მის მიერ დაპყრობილი საბჭოთა მიწა-წყალი.

ახლანდელი ზამთრის კამპანიის მსვლელობაში წითელმა არმიამ ლიკვიდაცია უყო გერმანელთა მძლავრ თავდაცვას დნეპრის მთელ მანძილზე ჟლობინიდან ხერსონამდე და ამით გააცამტვერა გერმანელთა ვარაუდები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გაჭიანურებული თავდაცვითი ომის წარმატებითი წარმოებისა.

ზამთრის კამპანიის სამი თვის განმავლობაში ჩვენმა მამაცმა ჯარებმა უდიდესი გამარჯვებები მოიპოვეს მარჯვენა ნაპირის უკრაინაში, დაამთავრეს კიევის, დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიეს ოლქების განთავისუფლება, გაათავისუფლეს მთელი ჟიტომირის ოლქი, თითქმის მთლიანად—როვნოს და კიროვოგრადის ოლქები, ვინიცის, ნიკოლაევის, კამენეც-პოდოლსკის და ვოლინის ოლქების მთელი რიგი რაიონები. წითელი არმიის გადამწყვეტი მოქმედებით ლიკვიდირებულია ცდები გერმანელთა კონტრშემოტევისა ჟიტომირის, კრივოი როგის და უმანის რაიონებში. საბჭოთა ჯარებმა გერმანელებს მოუწყეს ახალი სტალინგრადი დნეპრის მარჯვენა ნაპირზე, — გარს შემოერტყნენ და მოსპეს კორსუნ-შევჩენკოვსკის რაიონში გერმანელთა 10 დივიზია და ერთი ბრიგადა.

დიდი გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა ჯარებმა ლენინგრადთან. ჩვენმა ჯარებმა დაამსხვრიეს მოწინააღმდეგის ხანგრძლივ, ღრმად ეშელონირებულ სიმაგრეთა მძლავრი სისტემა, გაანადგურეს გერმანელთა ჯარების ძლიერი ჯგუფი. მთლიანად გაათავისუფლეს ლენინგრადი მტრის ბლოკადისაგან და არტილერიის ბარბაროსული დაშენისაგან. საბჭოთა მეომრები ამთავრებენ ლენინგრადისა და კალინინის ოლქების გაწმენდას ფაშისტი მტარვალებისაგან და შევიდნენ საბჭოთა ესტონეთის მიწა-წყალზე.

გაიშალა ოკუპანტების მასობრივი განდევნა საბჭოთა ბელორუსიიდან: თითქმის მთლიანად განთავისუფლებულია გომელისა და პოლესიეს ოლქები, მოგილიოვისა და ვიტებსკის ოლქების მთელი რიგი რაიონები.

ახლანდელი ზამთრის არახელსაყრელ პირობებში ჩვენმა ჯარებმა, დასძლიეს რა მტრის მძლავრი თავდაცვითი ზოლები, ზამთრის კამპანიის სამი თვის განმავლობაში დამპყრობლებისაგან გასწმინდეს 200 ათასამდე კვადრატული კილომეტრი საბჭოთა მიწა-წყალი. წითელმა არმიამ მტერს წაართვა 13.000-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის 82 ქალაქი და 320 სარკინიგზო სადგური. ფაშისტური ტყვეობიდან განთავისუფლებული არიან ახალი მილიონობით საბჭოთა მოქალაქენი. ჩვენს სამშობლოს დაუბრუნდა დიდმნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო და რკინის მადნისა და მარგანეცის უმდიდრესი მარაგის შემცველი სამრეწველო რაიონები. გერმანელებს ხელიდან გამოეცალათ ეს ეკონომიურად დიდმნიშვნელოვანი რაიონები, რომლებსაც ისინი ახე გაშმაგებით ებღაუჭებოდნენ.

ახლა უკვე, ალბათ, ყველასათვის ცხადია, რომ ჰიტლერული გერმანია შეუკავებლად მიდის კატასტროფისაკენ. მართალია, პირობები ომის წარმოებისა უფრო ხელსაყრელია გერმანიისათვის ამ ომში, ვიდრე წინანდელ მსოფლიო ომში, როდესაც იგი დასაწყისიდანვე და ომის დამთავრებამდე ორ ფრონტზე ეწეოდა ბრძოლას. მაგრამ გერმანიისათვის დიდი მინუსია ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირი ამ ომში ბევრად უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ძველი მეფის რუსეთი წინანდელ ომში. პირველ მსოფლიო ომში გერმანიის ბლოკს წინააღმდეგ ორ ფრონტზე ომობდა ექვსი დიდი სახელმწიფო—საფრანგეთი, რუსეთი, ინგლისი, ა. შ. შტატები, იაპონია და იტალია. ახლანდელ ომში გერმანიის მხარეზე გადავიდნენ იტალია და იაპონია, ფაშისტურ ბლოკს შეუერთდა ფინეთი, გადაიბარგა რუმინეთმა, რომელიც წინანდელ ომში გერმანიის წინააღმდეგ ომობდა, ამასთან გერმანიის ძირითადი ძალები დღევანდლამდე მოქმედებენ ერთ ფრონტზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ისტორიიდან ცნობილია, რომ გერმანია ყოველთვის იგებდა ომებს, თუ იგი ერთ ფრონტზე იბრძოდა და, პირიქით, აგებდა ომს, როცა იგი იძულებული იყო ორ ფრონტზე ეომნა. ახლანდელ ომში გერმანიამ, ომობს რა ძირითადი ძალებით ერთ ფრონტზე სსრ კავშირის წინააღმდეგ, მიუხედავად ამისა არამც თუ ვერ შესძლო მოეპოვებინა გამარჯვება, არამედ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა მძლავრი დარტყმების შედეგად კატასტროფის პირას აღმოჩნდა დაყენებული. თუ საბჭოთა კავშირმა პირისპირ არათუ გაუძლო გერმანიის სამხედრო მანქანის მოწოლას, არამედ გადამწყვეტი დამარცხებებიც არგუნა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს, მით უფრო უიმედო იქნება ჰიტლერული გერმანიის მდგომარეობა, როცა ამოქმედდებიან ჩვენი მოკავშირეების მთავარი ძალები და ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ გაიშლება ყველა მოკავშირე სახელმწიფოს არმიების მძლავრი და ზრდადი შეტევა.

გერმანელი ფაშისტი ავაზაკები ახლა აქეთ-იქით აწყდებიან და კატასტროფიდან გადარჩენის გზებს ეძებენ. ისინი კვლავ ჩაებღაუჭნენ „ტოტალურ" მობილიზაციას ზურგში, თუმცა გერმანიის ადამიანთა რესურსები ამოწურულია. ფაშისტი მმართველები სასოწარკვეთით ცდილობენ ჩამოაგდონ უთანხმოება ანტიჰიტლერული კოალიციის ბანაკში და ამით გააჭიანურონ ომი. ჰიტლერელი დიპლომატები მიმორბიან ერთი ნეიტრალური ქვეყნიდან მეორეში, ისწრაფვიან გააბან კავშირი პროჰიტლერულ ელემენტებთან, გადაკრავენ სიტყვას ხან ჩვენ სახელმწიფოსთან, ხან ჩვენს მოკავშირეებთან სეპარატული ზავის შესაძლებლობაზე. ჰიტლერელთა მთელი ეს ხრიკები განწირულია და ჩაიფუშება, ვინაიდან ანტიჰიტლერულ კოალიციას საფუძვლად უდევს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესები მოკავშირეებისა, რომლებმაც ამოცანად დაისახეს გაანადგურონ ჰიტლერული გერმანია და მისი თანაზონაწილენი ევროპაში. ძირითადი ინტერესების სწორედ ეს საერთობა იწვევს სსრ კავშირის, ინგლისისა და ა. შ. შტატების საბრძოლო კავშირის განმტკიცებას ომის მსვლელობაში.

ახლოვდება ჟამი საბოლოო განკითხვისა ყველა იმ ბოროტმოქმედებისათვის, რაც ჩაიდინეს ჰიტლერელებმა საბჭოთა მიწა-წყალზე და ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში.

წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევა შესაძლებელი გახდა ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საბჭოთა ადამიანების ახალი შრომითი საგმირო საქმეების მეოხებით. საბჭოთა კავშირის მშრომელებმა წითელი არმიის მიერ ფრონტებზე ზაფხულში მოპოვებული გამარჯვებანი განამტკიცეს ახალი საწარმოო გამარჯვებებით ზურგში.

ჩვენი მრეწველობის მუშები დაწესებულ სახელმწიფო გეგმებს ვადამდე ასრულებენ მთლიანად და გადაჭარბებით, მწყობრში შეჰყავთ ახალი ქარხნები, ბრძმედები და ელექტროსადგურები, განთავისუფლებულ რაიონებში უმაგალითოდ მოკლე ვადებში აღადგენენ ოკუპანტების მიერ დანგრეულ ინდუსტრიას. მუშათა კლასის გმირული ღონისძიებანი კიდევ უფრო ანმტკიცებენ წითელი არმიის სამხედრო-მატერიალურ ბაზას და ამით აახლოებენ ჩვენი საბოლოო გამარჯვების ჟამს.

საბჭოთა გლეხობა სახელმწიფოს აძლევს სურსათს არმიისა და ქალაქებისათვის, ნედლეულს მრეწველობისათვის, თავდადებულ დახმარებას უწევს წითელ არმიას.

საბჭოთა ინტელიგენცია პირდაპირს ხელმძღვანელ დახმარებას უწევს მუშებსა და გლეხებს წარმოების გაშლისა და წითელი არმიის საჭიროებათა დაკმაყოფილების საქმეში.

განთავისუფლებული რაიონების მშრომელები დღითი-დღე აფართოებენ დახმარებას წითელი არმიისადმი — თავიანთი გამთავისუფლებლისადმი, ფრონტზე მიმავალი ტვირთის საერთო ნაკადში აქცევენ აღდგენის პროცესში მყოფი ქარხნებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციას.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ხალხი თავისი გმირული შრომით და მთელი თავისი ძალ-ღონის დაძაბვით კვლავაც უზრუნველჰყოფს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განუწყვეტელ ზრდას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა რაც შეიძლება სწრაფი და საბოლოო განადგურებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების ახალ სამხედრო ფორმირებათა შექმნა, რაც მომზადებულია სსრ კავშირის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობით სამამულო ომში და ჩვენი სახელმწიფოს მთელი ისტორიით, კიდევ უფრო განამტკიცებს წითელ არმიას და ახალ, მებრძოლ ძალებს შემატებს მის რიგებს.

ამხანაგო წითელარმიელებო, წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო! ამხანაგო პარტიზანო კაცებო და ქალებო!

ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დიდ განმათავისუფლებელ ომში თქვენ გმირობის სასწაულები გვიჩვენეთ. წითელმა არმიამ მიაღწია გადამწყვეტ მობრუნებას ომში ჩვენდა სასარგებლოდ და ახლა რწმენით აღსავსე მიდის მტერზე საბოლოო გამარჯვებისაკენ. მტერი დამარცხებას დამარცხებაზე განიცდის, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ არის განადგურებული. ჰიტლერელი ავაზაკები, ხედავენ რა თავიანთი დაღუპვის მოახლოებას, მათ მიერ ჩვენს მიწა-წყალზე ჩადენილი ყველა საშინელი ბოროტმოქმედებისათვის სამაგიეროს მიზღვევის გარდუვალობას, განწირულთა გააფთრებით გვიწევენ წინააღმდეგობას. ისინი ბრძოლაში აბამენ უკანასკნელ ძალებსა და რეზერვებს, ებღაუჭებიან თითოეულ მეტრ საბჭოთა მიწას, თითოეულ ხელსაყრელ ზღუდეს.

სწორედ ამიტომ, რაც უნდა დიდი იყოს ჩვენი წარმატებანი, ჩვენ წინანდებურადვე ფხიზლად უნდა შევაფასოთ მტრის ძალები. ფრთხილნი უნდა ვიყოთ, არ დავუშვათ ჩვენს რიგებში ყოყოჩობა, თვითდამშვიდებულობა, უდარდელობა. ომების ისტორიაში ჯერ არა ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მტერი თვითონ გადავარდნილიყოს უფსკრულში. ომი რომ მოვიგოთ, საჭიროა მოწინააღმდეგე მივიყვანოთ უფსკრულთან და შიგ გადავჩეხოთ. მხოლოდ თავისი ძალით განუხრელად ზრდადს გამანადგურებელ დარტყმებს შეუძლია გასტეხოს მტრის წინააღმდეგობა და საბოლოო გამარჯვებამდე მიგვიყვანოს. ამისათვის საჭიროა განვაგრძოთ ჩვენი არმიის მებრძოლების საბრძოლო წვრთნისა და მეთაურების სამხედრო ოსტატობის სრულყოფა. წითელი არმიის მოვალეობაა დღითიდღე ამაღლოს თავისი სამხედრო ხელოვნება, განუწყვეტლად და გულდასმით შეისწავლოს მტრის ტაქტიკა, უნარიანად და დროზე გამოიცნოს მისი მზაკვრული ხრიკები, მტრის ტაქტიკას დაუპირისპიროს ჩვენი უფრო სრულყოფილი ტაქტიკა. საჭიროა, რომ წითელი არმიის მოწინავე ნაწილებისა და შენაერთების საბრძოლო გამოცდილება და მიღწევანი **მთელი** ჩვენი ჯარების კუთვნილება გახდეს, რომ **მთელმა** წითელმა არმიამ, **ყველა** მისმა მებრძოლმა და ოფიცერმა ისწავლოს მტრისათვის დარტყმა თანამედროვე სამხედრო მეცნიერების ყველა წესის მიხედვით.

ამხანაგებო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო, პარტიზანო კაცებო და ქალებო!

მოგესალმებით და გილოცავთ რა წითელი არმიის 26 წლისთავს, **ვბრძანებ:**

1. მთელმა რიგითმა და სერჟანტთა შემადგენლობამ —ქვეითებმა, ნაღმტყორცნელებმა, არტილერისტებმა, მფრინავებმა, ტანკისტებმა, მესანგრეებმა, მეკავშირეებმა, კავალერისტებმა — განაგრძოს თავისი საბრძოლო ოსტატობის დაუღალავად სრულყოფა, სავსებით გამოიყენოს ჩვენი საუცხოო საბრძოლო ტექნიკა, ურტყას მტერს, როგორც ურტყამენ მას ჩვენი სახელოვანი გვარდიელები, ზუსტად შეასრულოს მეთაურთა ბრძანებანი, განამტკიცოს დისციპლინა და წესრიგი, ამაღლოს ორგანიზებულობა.

2. ყველა სახეობის ჯარების ოფიცრებმა და გენერლებმა სრულჰყონ ჯარების წინამძღოლობის ხელოვნება, მანევრირების ტაქტიკა, ყველა სახეობის ჯარების თანამოქმედების საქმე ბრძოლის მსვლელობაში, უფრო გაბედულად და ფართოდ დანერგონ საბრძოლო პრაქტიკაში მოწინავე გვარდიული ნაწილებისა და შენაერთების გამოცდილება, უმაღლეს საფეხურზე აიყვანონ შტაბებისა და სამხედრო ზურგის მუშაობის კულტურა, ყოველნაირად გააუმჯობესონ და განავითარონ ჩვენი დაზვერვა.

3. მთელმა წითელმა არმიამ ცეცხლისა და მანევრის უნარიანი შეხამებით გასტეხოს მტრის თავდაცვა მთელ მის სიღრმეზე, არ მისცეს მტერს ამოსუნთქვის საშუალება, თავის დროზე უყოს ლიკვიდაცია მტრის ცდებს კონტრიერიშებით შეაჩეროს ჩვენი შეტევა. უნარიანად მოაწყოს მტრის დევნა, არ მისცეს მას საშუალება გაიტანოს ტექნიკა, გაბედული მანევრით შემოუაროს მტრის ჯარების ფლანგებს, შეიჭრას მის ზურგში, გარს შემოერტყას მოწინააღმდეგის ჯარებს, დააქუცმაცოს ისინი და მოსპოს, თუ იარაღის დაყრაზე უარს ამბობენ.

4. პარტიზანმა კაცებმა და ქალებმა გააძლიერონ დახმარება წითელი არმიისადმი, თავს დაესხან მოწინააღმდეგის შტაბებსა და გარნიზონებს, ანადგურონ მისი ზურგი, დაანგრიონ მისი კომუნიკაციები და კავშირგაბმულობა, წაართვან მას რეზერვების მოყვანის საშუალება.

5. დიად გამარჯვებათა აღსანიშნავად, რომლებიც მოპოვებულია საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ გასული წლის განმავლობაში, დღეს, 23 თებერვალს, წითელი არმიის 26 წლისთავის დღეს, 18 საათზე, მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, დნეპროპეტროვსკში, გომელში, როსტოვში ოცი საარტილერიო ზალპით სალუტი მისცენ წითელი არმიის მამაც ჯარებს.

დიდება ჩვენს ძლევამოსილ წითელ არმიას!

დიდება საბჭოთა იარაღს!

დიდება ჩვენს გულად პარტიზან კაცებსა და ქალებს!

გაუმარჯოს ჩვენს დიად საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს საკავშირო კომუნისტურ პარტიას — წითელი არმიის დიად გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

**უმაღლესი მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი**



# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
## უმაღლესი მთავარსარდლისა
### არმიის გენერალ მალინოვსკის

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა შეტევის შედეგად, დღეს, 22 თებერვალს, იერიშით დაიკავეს ქალაქი **კრივოი როგი** და კრივოი როგის სამადნოების რაიონი — უკრაინის დიდი სამრეწველო ცენტრი და გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი.

ქალაქ **კრივოი როგის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი ისახელეს გენერალ-ლეიტენანტ **გლაგოლევის**, გენერალ-ლეიტენანტ **შაროხინის**, გენერალ-მაიორ **კოტოვის**, გენერალ-მაიორ **კოსობუცკის**, გენერალ-მაიორ **კუზნეცოვის** ჯარებმა, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **ნედელინის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ალექსეენკოს**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ხიტროვსკის**, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **ვოზნიუკის** არტილერისტებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **სუდეცის** და ავიაციის გენერალ-მაიორ **ტოლსტიკოვის** მფრინავებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ქალაქ **კრივოი როგის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**კრივოი როგის**" სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 22 თებერვალს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **კრივოი როგი**.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ **კრივოი როგის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

**უმაღლესი მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი**

1944 წლის 22 თებერვალი.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### საბჭოთა კავშირის მარშლების ს. მ. ბუდიონის, კ. ე. ვოროშილოვის, ბ. მ. შაპოშნიკოვის სუვოროვის ორდენებით დაჯილდოების შესახებ

უმაღლესი მთავარსარდლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან:

**სუვოროვის I ხარისხის ორდენით**

1. საბჭოთა კავშირის მარშალი სიმონ მიხეილის-ძე ბუდიონი
2. საბჭოთა კავშირის მარშალი კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვი
3. საბჭოთა კავშირის მარშალი ბორის მიხეილის-ძე შაპოშნიკოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 22 თებერვალი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### წითელი არმიის გენერლების ორდენებით დაჯილდოების შესახებ

უმაღლესი მთავარსარდლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან:

**სუვოროვის I ხარისხის ორდენით**

გენერალ-პოლკოვნიკი ალექსანდრე სერგის-ძე შჩერბაკოვი

**კუტუზოვის I ხარისხის ორდენით**

1. არმიის გენერალი ალექსი ინოკენტის-ძე ანტონოვი
2. გენერალ-პოლკოვნიკი ფილიპე ივანეს-ძე გოლიკოვი
3. გენერალ-პოლკოვნიკი მიხეილ სტეფანეს-ძე გრომადინი
4. გენერალ-პოლკოვნიკი ივანე ვასილის-ძე სმოროდინოვი

**სუვოროვის II ხარისხის ორდენით**

გენერალ-პოლკოვნიკი სერგი მათეს-ძე შტემენკო

**კუტუზოვის II ხარისხის ორდენით**

1. არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი ვასილ ვასილის-ძე აბორენკოვი
2. არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი პეტრე ალექსის-ძე დეგტიაროვი

**წითელი დროშის ორდენით**

გენერალ-ლეიტენანტი ივანე ივანეს-ძე ილიჩევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 22 თებერვალი.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

რუსული მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საქმეში ღირსშესანიშნავი დამსახურებისათვის, ჩვენი ქვეყნისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში მიღწეული დიდი წარმატებებისათვის, დაარსების 125 წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოებულ იქნას ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 21 თებერვალი.

## საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭება წითელი არმიის ოფიცერთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობისათვის

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამა წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით წითელი არმიის ოფიცერთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობის ჯგუფს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი".

სულ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა 12 ოფიცერს, სერჟანტსა და რიგით მებრძოლს. (საკდესი).

## წითელი არმიის გენერლებისა და ოფიცერთა შემადგენლობის დაჯილდოება სუვოროვისა და კუტუზოვის ორდენებით

საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

სუვოროვის I ხარისხის ორდენით — არმიის გენერალი ლ. ა. გოვოროვი, გენერალ-ლეიტენანტი დ. ნ. გუსევი, გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ჟდანოვი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. პ. სვირიდოვი;

კუტუზოვის I ხარისხის ორდენით — სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი ვ. ი. ბარანოვი, გენერალ-მაიორი გ. კ. ბუხოვეცი, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორი ბ. ვ. ბიჩევსკი, გენერალ-მაიორი ა. ვ. გვოზდკოვი, გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. კუზნეცოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ი. ი. მასლენიკოვი, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი გ. ფ. ოდინცოვი, გენერალ-მაიორი ა. ს. ცვეტკოვი;

სუვოროვის II ხარისხის ორდენით—25 კაცი;

კუტუზოვის II ხარისხის ორდენით — 39 კაცი. (საკდესი).

## მტრის ზარალი და ჩვენი ჯარების დავლა ზვენიგოროდკის სამხრეთით მდებარე რაიონში გერმანელთა [illegible] ლიკვიდაციის შედეგად

[illegible] კორსუნ-შევჩენკოვსკის რაიონში გერმანელთა გარშემორტყმული დაჯგუფე- [illegible] ნა, 10 სამტაბო ავტობუსი. ტყვედ წამოყვანილია 1.500-მდე კაცი.

**საბჭოთა საინფორმაციო ბიურო**

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
## 22 თებერვლის ოპერატიული ცნობა

**22 თებერვლის განმავლობაში ლუგის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევით ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და მათ შორის ბუკინო (10 კილომეტრზე სტრუგი კრასნიეს ჩრდილო-აღმოსავლეთით), სეგლიცი, მალიე და ბოლშიე ლზი, დერტინი, ბოროტნო, ვიდონი.**

**ილმენის ტბის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითი შეტევის განვითარებას და ბრძოლებით დაიკავეს 200-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დუბროვო, გრებნია, აპრაქსინო, მორინო, სოროკინო, მიხაილოვსკი (16 კილომეტრზე დნოს აღმოსავლეთით), ნოვოე პანკრატოვო, კრუტეცი, გლუხაია გორუშკა, ბარევო, პერეხოდი, გუსევო, ვაშკოვა, ბოლშაია და მალაია პუხოვა და რკინიგზის სადგურები მიაკოვო, მორინო.**

**ქალაქ ხოლმის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის მაშური, ბოლშოი ლესოვიე, ზახოდი, უსადგა, ივანისოვო, სელევინო, პალაშუტინო.**

**უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც განაგრძობდნენ შეტევას, გააფთრებული ბრძოლების შემდეგ გატეხეს მტრის წინააღმდეგობა და 22 თებერვალს იერიშით დაიკავეს უკრაინის დიდი სამრეწველო ცენტრი — ქალაქი კრივოი როგი.**

**ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა, საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლა და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები.**

**21 თებერვლის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 48 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 8 თვითმფრინავი.**

* * *

ილმენის ტბის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებით შეტევას და დაიკავეს 200-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. მტერი ცდილობდა კონტრიერიშებით შეეჩერებინა საბჭოთა ჯარების წინსვლა, მაგრამ უკუგდებულ იქნა მისთვის დიდი ზარალის მიყენებით. ნ შენაერთის ნაწილები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ, გაჟლიტეს 800-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და მოსპეს 6 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. გერმანელებს წაართვეს 19 ქვემეხი, 66 ტყვიამფრქვევი, 17 ნაღმსატყორცნი, რამდენიმე საწყობი საომარ მასალიანად და დიდი საწყობი საწვავიანად. [illegible] რაიონში ჩვენი მოძრავი რაზმი მტრის ზურგში შეიჭრა და ხელთ იგდო 140 ავტომანქანა და საზიდარი სხვადასხვა ტვირთიანად.

• • •

ქალაქ ხოლმის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. საბჭოთა ნაწილები ჰიმართავენ გაბედულ შემოვლითს მანევრებს და ანადგურებენ გერმანელთა თავდაცვის კვანძებს, სპობენ მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. 6 შენაერთის მებრძოლებმა უკანდასახევი გზა მოუჭრეს გერმანელ ფაშისტთა ჯარებს და დღის განმავლობაში გაჟლიტეს 1.500-მდე ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ 29 ტანკი, 30 ქვემეხი, 70 ტყვიამფრქვევი, 52 ავტომანქანა და სხვა დავლა. ტყვედ წამოყვანილია გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა დიდი რაოდენობა.

• • •

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარები, რომლებიც განაგრძობენ შეტევას, გუშინ გავიდნენ ქალაქ კრივოი როგის გარეუბნებში და ბრძოლები გაჩაღდა საქარხნო დაბების ქუჩებში. სასტიკი ბრძოლები მთელ ღამეს გრძელდებოდა. მოწინააღმდეგე ვარაუდობდა, რომ ძირითადი დარტყმა მიმართული იქნებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და აქ მოაგროვა თავისი მთავარი ძალები. ამასობაში საბჭოთა ნაწილები ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთის გარეუბნებისაკენ გაიჭრნენ, გადალახეს მდინარე საქსაგანი და სწრაფი დარტყმით დაიკავეს გერმანელთა დასაყრდენი პუნქტები, რომლებიც კრივოი როგს ჩრდილოეთიდან იფარავდნენ. დღის ჩვენმა ჯარებმა მტერზე იერიში მიიტანეს სხვადასხვა მიმართულებით და იერიშით დაიკავეს უკრაინის დიდი სამრეწველო ცენტრი ქალაქი კრივოი როგი და კრივოი როგის მადნების რაიონი. მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. ქალაქის მისადგომებზე და მის ქუჩებში ჰყრია მტრის ათასობით გვამი. მოწინააღმდეგის განადგურებული ნაწილების ნაშთებმა თავს უშველეს გაქცევით და მიატოვეს ბევრი ქვემეხი, ნაღმსატყორცნი, ტყვიამფრქვევი და ავტომანქანა. საბჭოთა ჯარებმა ხელთ იგდეს დიდი საწყობები სამხედრო ქონებიანად.

• • •

ვიტებსკის ოლქში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა ერთი ღამის განმავლობაში გაანადგურა გერმანელთა გარნიზონები 15 დასახლებულ პუნქტში. მოკლული და დაჭრილია 400-ზე მეტი ჰიტლერელი. უკანასკნელ დღეებში საბჭოთა პატრიოტები სასტიკ ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის ქვეითა ჯარსა და ტანკებთან, რომლებიც ლაშქრობას იწყებდნენ პარტიზანული რაზმების წინააღმდეგ. ამ ბრძოლებში საბჭოთა პატრიოტებმა გაანადგურეს ჰიტლერელთა სამი ასეული, დააზიანეს სამი ტანკი და ააფეთქეს ორი საწყობი საომარ მასალიანად.

• • •

კორსუნ-შევჩენკოვსკის რაიონში ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 88-ე ქვეითი დივიზიის 246-ე პოლკის მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა კრისტოფ ფლაიმანმა განაცხადა: „დივიზიის რკალში მოქცეული ნაწილები გასრესილ იქნენ. 15 თებერვლიდან დაწყებული იმ პოლკმა, რომელსაც მე ვმეთაურობდი, არსებობა შესწყვიტა, როგორც ერთიანმა საჯარისო ნაწილმა. შტაბი მე ფაქტიურად არა მყოლია, ოფიცერთა უმეტესობა მწყობრიდან გამოვიდა. მე არ შემეძლო ხელმძღვანელობა გამეწია ჯარისკაცთა დაქსაქსული და დემორალიზებული ჯგუფებისათვის და 16 თებერვალს ვუბრძანე გადარჩენილ ოფიცრებსა და უნტერ-ოფიცრებს თავიანთი რისკითა და პასუხისმგებლობით ემოქმედნათ. ამ დროისათვის „ქვაბში" სრული არევ-დარევა სუფევდა. ერთიანი სარდლობა, ერთიანი ხელმძღვანელობა უკვე აღარ იყო. ყოველი მხედართმთავარი თავისი შეხედულებით მოქმედებდა. ჯარისკაცთა დაქსაქსული ჯგუფები ტყვედ ნებდებოდნენ. გერმანელთა გარშემორტყმული ჯარები განადგურებულ იქნენ".

# კომედია ჰიტლერის ბანაკში

3 თებერვალს წითელი არმიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ გამოაცხადა ზვენიგოროდკა-შპოლის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში გერმანელთა ჯარების დიდი დაჯგუფების გარშემორტყმის ამბავი. საბჭოთა საინფორმაციო ბიურო ყოველდღე აქვეყნებდა ცნობებს გარშემორტყმულ გერმანელთა ჯარების მოსპობის მსვლელობის შესახებ.

ამა წლის 18 თებერვალს გამოიცა წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება იმის შესახებ, რომ თოთხმეტი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ დამთავრდა გერმანელთა მე-8 არმიის ამ 10 დივიზიისა და ერთი ბრიგადის მოსპობის ოპერაცია, რომლებიც გარშემორტყმული იყვნენ კორსუნ-შევჩენკოვსკის რაიონში. ამავე დღეს საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა ფაქტიური ცნობები მტრის ჯარების გარშემორტყმული დიდი დაჯგუფების მოსპობის ამ ოპერაციის შედეგების შესახებ, რაც ბრწყინვალედ იქნა ჩატარებული ჩვენი ჯარების მიერ.

გერმანელთა სარდლობა დაჟინებით ჩქმალავდა თავისი ჯარების გარშემორტყმის ფაქტს და ხმებსაც კი ავრცელებდა რაღაც წარმატებით ბრძოლებზე ამ რაიონში.

1943 წლის დამდეგს, საბჭოთა ჯარების მიერ სტალინგრადთან გერმანელ ფაშისტთა სამასათასიანი არმიის მოსპობის შემდეგ, გერმანიის არმიის უმაღლესმა სარდლობამ გაბედობა გამოიჩინა ეღიარებინა თავისი არმიის მძიმე დამარცხება საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. მმართველმა ჰიტლერულმა ხროვამ მაშინ მთელ გერმანიაში გამოაცხადა სამი დღის გლოვა თავისი სამასათასიანი არმიისა, რომელიც საბჭოთა ჯარების მიერ გარშემორტყმულ და მოსპობილ იქნა სტალინგრადის კედლებთან. მაგრამ ახლა სხვა დრო დადგა, და ჰიტლერელებმა სხვა სიმღერები მორთეს. ახლა ჰიტლერული ხროვა, გერმანიის არმიის მიერ გასული წლის მანძილზე განცდილ მძიმე დამარცხებათა შემდეგ, ვეღარა ბედავს აშკარად აღიაროს ის მძიმე მარცხები, რაც შეემთხვა გერმანიის არმიას ჩვენს ფრონტზე: გერმანელ ფაშისტთა სამხედრო მანქანა, რომელიც წითელმა არმიამ სრული დამარცხების პირას დააყენა, ვერ აიტანს ამგვარ აღიარებას ისე, რომ ამას სერიოზული სამხედრო-პოლიტიკური შერყევა არ მოჰყვეს. ამიტომ გასაგებია, თუ რა მიზეზებით უმალავდა დაჟინებით ჰიტლერის ბანაკი გერმანიის არმიას, გერმანელ ხალხს და მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს როგორც ზვენიგოროდკა-შპოლის ხაზის ჩრდილოეთით გერმანელ ფაშისტთა სამოცდაათიათასიანზე მეტი ჯარის გარშემორტყმის თვით ფაქტს, ისე განსაკუთრებით წითელი არმიის მიერ მათი ლიკვიდაციის ფაქტს.

მაგრამ როგორადაც არ ცდილობდნენ გერმანელები მიეჩქმალათ თავიანთი ჯარების უმძიმესი დამარცხება, ისინი მაინც იძულებული იყვნენ ხმა ამოეღოთ, ვინაიდან გერმანელთა 10 გარშემორტყმული დივიზიის ლიკვიდაციის შედეგად გაჟლეტილია 55 ათასი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ტყვედ წამოყვანილია 18.200 გერმანელი, აგრეთვე წამოღებულია გარშემორტყმული გერმანელთა ჯარების მთელი ტექნიკა და მთელი საჭურველი.

როგორც ცნობილია, გერმანიის სარდლობამ სასოწარკვეთილი ცდა დაიხსნა თავისი ჯარები გარშემორტყმიდან და, როცა ეს ვერ მოხერხდა, ჰიტლერელები პანიკამ და დაბნეულობამ მოიცვა. გერმანელთა სარდლობის მიერ ჩადენილი ხრიკი არ შეიძლება სხვანაირად შეფასდეს, თუ არა ხელიდან წასული ყომარბაზების და ყალთაბანდების სასოწარკვეთილი ნაბიჯი. ეს ხრიკი კი იმაში მდგომარეობს, რომ უკვე კორსუნ-შევჩენკოვსკის რაიონში გარშემორტყმულ გერმანელ ფაშისტთა ჯარების ლიკვიდაციის შემდეგ ჰიტლერის ბანაკმა გამოაცხადა, მოსპობილ სამოცდაათიათასზე მეტ გერმანელ ჯარისკაცს და ოფიცერს თითქოს მშვიდობით დაეღწიოს თავი გარშემორტყმისათვის და თითქოს ისინი არხეინად ცოცხლობენ.

რა თქმა უნდა, გერმანელებს არაფერი უჭირდათ საწინააღმდეგო მოეწყოთ თავიანთი გამქრალი 10 დივიზიის პარადი, მაგრამ, როგორც ტყვიან, მკვდრებს ვერ აღადგენ.

დაჰკარგეს რა ათეულათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი, რომლებიც მოსპო წითელმა არმიამ გარშემორტყმულ გერმანელთა დივიზიების ლიკვიდაციისათვის წარმოებული თოთხმეტი დღის ბრძოლის განმავლობაში, ჰიტლერელები თავს ინუგეშებენ: თუ აღარ არის გერმანელ ფაშისტთა 10 დივიზია, სამაგიეროდ არიან გენერლები, რომლებმაც ბედისანაბარა მიატოვეს თავიანთი ჯარები და თვითმფრინავებით მოკურცხლეს. ესენი, უწინარეს ყოვლისა არიან 112-ე ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი ლიბი და სატანკო დივიზიის „ვიკინგის" მეთაური გენერალ-მაიორი ჰილე. ჰიტლერელებმა ისარგებლეს იმით, რომ გერმანელი გენერლები, რომლებმაც მიატოვეს თავიანთი ჯარები და სატრანსპორტო თვითმფრინავებით გაიქცნენ, აღმოჩნდნენ გერმანიის არმიის ბანაკში და გაითამაშეს სასაცილო კომედია. ჰიტლერმა ეს გენერლები მიიღო თავის ბანაკში და მისცა მათ „უმაღლესი ჯილდოები", ვითომც მათი „თვალსაჩინო პირადი დამსახურებისათვის და მათ მიერ ნახელმძღვანელევი ჯარების მამაცური ბრძოლისათვის".

ცნობილია, რომ ყოველ არმიაში, რომელიც აგებულია საერთოდ მიღებულ პრინციპებზე, ამ დეზერტირ გენერლებს, რომლებმაც თავიანთი ჯარები ჩიხში შეიყვანეს და უსინდისოდ მიატოვეს ისინი იქ გასაჟლეტად, სამარცხვინო სირცხვილს აჭმევდნენ და სასტიკად გაასამართლებდნენ. მაგრამ ჰიტლერსა და მის ამ-ელ გენერლებს პატიოსნებასთან საქმე არა აქვთ.

გასაგებია მიზანი მთელი ამ გაიძვერული კომედიისა, რომელიც ინსცენირებულია ჰიტლერულ ბანაკში: ჰიტლერელები ცდილობენ ამ სულელური ხრიკის შემწეობით დამალონ მეორე სტალინგრადი, რომელიც წითელმა არმიამ მოაწყო გერმანელთა ჯარებისათვის, დამალონ უმაგალითო ხოცვა-ჟლეტა, რომელიც წითელმა არმიამ მოუწყო გერმანელ ფაშისტ ავაზაკებს, დამალონ ჰიტლერის დანაშაულობანი, რომელმაც გასაჟლეტად გასწირა გერმანელთა ათი დივიზია.

ამავე მიზანს ისახავს კომედიის შემდეგი აქტიც — დაჯილდოება გერმანიის მე-11-ე საარმიო კორპუსის მეთაურის გენერალ შტემერმანისა, რომელიც მეთაურობდა გარშემორტყმულ დაჯგუფებას და რომელიც მოკლულ იქნა გერმანელთა გარშემორტყმული დივიზიების სალიკვიდაციოდ წარმოებული ბრძოლების მსვლელობაში. ამ უბედური გენერლის გვამი აღებულ იქნა ბრძოლის ველზე მთელი მისი საგენერალო სამოსლით გერმანელთა გარშემორტყმული ჯარების ლიკვიდაციის შემდეგ. გასაგებია, რომ ახლა ჰიტლერული ორდენი შტემერმანს ესაჭიროება არა მეტად, ვიდრე მკვდარს ცხელი საფენი.

ჰიტლერულ ბანაკში ასე უშნოდ გათამაშებულ კომედიაში ერთი რამ ცხადია, — ცუდი დროება დადგა გერმანულ-ფაშისტური არმიისათვის საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. თუ კი ჰიტლერმა დაიწყო თავისი დაღუპული ჯარების გასაღება მოქმედ ჯარებად და იმ გენერლების დაჯილდოება, რომლებიც სამარცხვინოდ გაიქცნენ ბრძოლის ველიდან. ყველასათვის ცხადია აგრეთვე, რომ თავგზააბნეულ ჰიტლერელთა ეს ახალი გაიძვერული ხრიკი, ეს თეთრი ძაფით ნაკერავი კომედია ვერავის ვერ შეიყვანს შეცდომაში კორსუნ-შევჩენკოვსკის რაიონში საბჭოთა ჯარების მიერ გერმანელთა ათი მოსპობილი დივიზიის ბედის შესახებ.

**საბჭოთა საინფორმაციო ბიურო**



გვარდიის გენერალ-ლეიტენანტი
პ. ჩანჩიბაძე



გვარდიის გენერალ-მაიორი
ნ. თავართქილაძე

## მეომართა წერილები მოქმედი არმიიდან
# „ძმებო, ვიბრძოლოთ გმირულად!"

უდიდესი ისტორიული გამარჯვება, რომელიც ლენინგრადის ფრონტის სახელოვანმა ჯარებმა მოიპოვეს, აღაფრთოვანებს საბჭოთა პატრიოტებს ახალი საგმირო საქმეებისათვის და მოუწოდებს ვერაგი მტრის საბოლოო განადგურებისაკენ. დიდია მტრისადმი სიძულვილი და უსაზღვროა სამშობლოსადმი სიყვარული, რასაც იჩენენ მამაცი მეომრები ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ამაზე მოგვითხრობენ რედაქციაში გამოგზავნილი ქართველ მეომართა წერილებიც:

„აბა, ძმებო, ვიბრძოლოთ გმირულად! არ მივცეთ მტერს მოსვენება! ვესროლოთ ტყვია! გამოგველიოს ტყვია, ვესროლოთ გრანატი! გამოგველიოს გრანატი, ვცემოთ მუშტით! გვეტკინოს მუშტი, კბილით გავგლიჯოთ! მოვკვდეთ სამშობლოსათვის და მათ კი არ ჩავუვარდეთ ხელში!".

ასე გვწერს ქართველი მეომარი კომკავშირელი ბიძინა სოსოს-ძე გოგილაშვილი, მტრის ბლოკადისაგან ლენინგრადის განთავისუფლებისათვის სასახელო ბრძოლების მონაწილე.

ასეთივე მგზნებარე პატრიოტული გრძნობით გვწერს ლენინგრადთან ბრძოლების მონაწილე, სერჟანტი ვლადიმერ ბლიაძე. მას ბევრი გაჭირვება გამოუვლია მძიმე ბრძოლებში. „ყოველთვის მახსოვს და მახსოვდა, რომ აქ ვიმყოფები სამშობლოს დასაცავად. არ ვეპუებოდი ვერავის(?), ვურტყამთ და არ შევარჩენთ მტერს იმას, რაც ჩაიდინა საბჭოთა მიწა-წყალზე". როგორც მამაცი ქართველი, თავის წინაპართა ღირსეული შვილი, ამხ. ვ. ბლიაძე კომკავშირულ სიტყვას იძლევა, რომ კიდევ უფრო მედგრად იბრძოლებს სამშობლოს სასახელოდ.

სამამულო ომის ყველა ფრონტზე საბჭოთა საქართველოს სახელოვანი შვილები, მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად, გმირობისა და მამაცობის მაგალითებს იძლევიან.

კაპიტანმა ალექსანდრე ივანეს-ძე ქართველიშვილმა, როგორც გვწერს იროდი ტატუს-ძე შენგელია, თავი ისახელა ბრძოლებში ორიოლის მიმართულებით. როცა გერმანელები შეტევაზე გადმოვიდნენ, ჩვენმა ნაწილმა კაპიტან ქართველიშვილის მეთაურობით სასიკვდილოდ დაარტყა მტერს, უკუაქცია იგი და თვითონ გადავიდა შეტევაზე.

„არ მივცემთ მტერს შესვენების საშუალებას!" — სწერს მოქმედი არმიიდან ზემდეგი დომენტი ვლადიმერის-ძე მამალაძე. იგი მოგვითხრობს ქართველ ნაღმსატყორცნელთა გუნდის მამაცობაზე. ამ გუნდში ითვლებიან მზიური საქართველოს შვილები: სერჟანტი სულიკაშვილი და მებრძოლები ვლადიმერ თვარაძე, შაქრო იამანაშვილი, შოთა ოდიშარია. ბრძოლებში მათ ბევრჯერ ისახელეს თავი. სულიკაშვილის ნაღმსატყორცნელთა გუნდმა შესანიშნავად შეასრულა დავალება — გერმანელთა მიერ წინასწარ გამაგრებული მაღლობისათვის გააფთრებულ ბრძოლაში გუნდმა ზუსტად [illegible] და ზედმიწევნით [illegible] ნაღმსატყორცნი [illegible] ამის შემდეგ [illegible] ბელი ცეცხლი და ზედიზედ გამოიყვანეს მწყობრიდან გერმანელთა მოქმედი საცეცხლე წერტები, რომლებიც ჩვენი მებრძოლების წინსვლას აფერხებდნენ. მტერმა იწყო უკან დახევა და ბრძოლის ველზე დასტოვა იარაღი, სურსათი და დახოცილთა მრავალი გვამი.

ბრძოლაში წარმატებისათვის აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ჯარების ტექნიკურად უზრუნველყოფას. ამ მხრივ აღსანიშნავია საინჟინრო სამსახურის გვარდიის კაპიტანის დავით დიმიტრის-ძე აბაშიძის საგმირო საქმეები. ამის შესახებ თავის წერილში მოგვითხრობს უფროსი ლეიტენანტი ვლადიმერ ბოგვერაძე. დ. აბაშიძემ პირველად თავი გამოიჩინა სტალინგრადის შეტევითს ოპერაციებში. საომარ მდგომარეობაში ორი კვირის დაუღალავი მუშაობის შედეგად უზრუნველჰყო დივიზიონის მექანიზაცია და მას ბრძოლის მზარდი უნარი შეუქმნა. ამის შემდეგ დივიზიონმა მარტო ერთ ოპერაციაში გაანადგურა მტრის რამდენიმე ტანკი, ათეული საცეცხლე წერტი და ასობით გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. კაპიტანი დ. აბაშიძე დაჯილდოებულ იქნა „წითელი ვარსკვლავის" ორდენით და მედლით „სტალინგრადის დაცვისათვის".

ჩვენს სახელოვან მამაც მეომრებს ახალი და უფრო მეტი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებს ის ყურადღება და სიყვარული, რომელსაც მათდამი იჩენს საბჭოთა ზურგი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს მშრომელთა დელეგაცია საჩუქრებით ესტუმრა ფრონტს. ამით აღფრთოვანებული ქართველი მეომრები მადლობას უძღვნიან საქართველოს მშრომელებს და პირობას იძლევიან, რომ გაამართლებენ მათს ნდობას.

— დიდია ის დახმარება, რასაც ჩვენ ქართველ მეომრებს, და ჩვენს ოჯახებს უწევენ ლენინ-სტალინის პარტია და საბჭოთა მთავრობა. ქართველ მეომართა შემტევ ბრძოლისუნარიანობას ჰიტლერელ მხეცებთან ბრძოლაში ვერაფერი შეაჩერებს. მზიური საქართველოს მშრომელებო, ჰიტლერელ მხეცების განადგურებისა და ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების საქმეში თქვენს იმედებს გავამართლებთ. პირობას გაძლევთ შემდეგში უფრო გაბედულად ვცლიტოთ მტერი", — გვწერენ წითელარმიელთა და ოფიცერთა დავალებით კაპიტანი არჩილ ილიას-ძე ქადაგიძე და პარტორგი მაკარი ქარჩავა.

ასეთსავე მგზნებარე პატრიოტულ წერილებს გვწერენ ამხ. მ. ხაჟალიძე, მ. სეფაშვილი, ვ. ქველია, შ. თოდრია, ვლ. ბლუაშვილი, ი. ჩიკაშუა, ა. გასიევი, გ. პიქაძე და სხვ.

**ალ. ჩუთნია**

## დედაქალაქის მშრომელთა საზეიმო სხდომები, მიძღვნილი წითელი არმიის XXVI წლისთავისადმი

21 თებერვალს დედაქალაქის რაიონებში შესდგა საზეიმო სხდომები, მიძღვნილი წითელი არმიის 26-ე წლისთავისადმი.

საკ. კ. პ. (ბ) სვერდლოვსკის რაიკომის, მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის და საკ. ალკკ რაიკომის საზეიმო სხდომაზე, რომელიც შესდგა რაიონის სტახანოველების, დამკვრელების, ინტელიგენციისა და ჯარის ნაწილთა წარმომადგენლების მონაწილეობით, მოხსენებით გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს უფროსი ამხ. გ. ფ. ალექსანდროვი.

ლენინგრადის რაიონის პარტიული და საბჭოთა აქტივის საზეიმო კრებაზე მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ამხ. მინცი. მშრომელებისა და ინტელიგენციის დიდი კრება შესდგა კრასნაია პრესნიის რაიონში. აქ მოხსენება გააკეთა გენერალ-მაიორმა ამხ. ფომიჩენკომ. მიტინგს დაესწრნენ ფრონტელები, მფრინავები და ტანკისტები, საშეფო სამხედრო ნაწილებიდან მოსული სტუმრები. (საკდესი).

# უკანასკნელი ცნობები

## მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

**ლონდონი,** 22 თებერვალი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გერმანიაზე ამერიკის ბომბდამშენთა თავდასხმის დროს 20 თებერვალს ჩამოგდებული იყო მოწინააღმდეგის 126 თვითმფრინავი.

სხვა პუნქტებთან ერთად დაიბომბა როსტოკის სამხედრო ნაგებობანი გერმანიის ბალტიის სანაპიროზე.

გუშინ გერმანიის საავიაციო ქარხნებზე თავდასხმაში კვლავ მონაწილეობას იღებდნენ მძიმე ბომბდამშენთა უაღრესად დიდი შენაერთები.

დაბომბილ იქნა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი აეროდრომები და სარემონტო ავიაბაზები ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში. ორი საავიაციო ქარხანა ბრაუნშვაიგში, ჰანოვერი, აეროდრომები ბრამშესა, ლინგენსა და მთელ რიგ სხვა პუნქტებში. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულ იქნა მტრის 33 თვითმფრინავი.

## ბრძოლები იუგოსლავიაში

**ჟენევა,** 22 თებერვალი (საკდესი). როგორც იუგოსლავიიდან იუწყებიან, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები შეუპოვარ ბრძოლებს ეწევიან ჰიტლერელებსა, უსტაშებსა და ჩეტნიკებთან აღმოსავლეთ ბოსნიაში, როგატიცის მახლობლად. სლოვენიაში, ნოვო-მესტოს მიდამოებში განადგურებულია გერმანელთა კოლონა 600 კაცის შემადგენლობით.

სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა ლიკაში დაამარცხეს მტრის პოლკი. ტუროპოლიეს რაიონში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ბრიგადამ გაანადგურა რამდენიმე ასეული უსტაში, ტყვედ წაიყვანა მტრის 40 ჯარისკაცი და ხელთ იგდო ბევრი სამხედრო ქონება.

## უცხოეთის ქრონიკა

ერთი კვირის განმავლობაში, 14-დან 20 თებერვლამდე ინგლისის ავიაციამ ყველა ფრონტზე დაჰკარგა 165 თვითმფრინავი. მტერმა ამავე ხნის განმავლობაში 109 თვითმფრინავი დაჰკარგა.

რუმინეთში დაშალეს სათადარიგო ოფიცერთა კავშირი. დაშლას იმით ასაბუთებენ, რომ ეს კავშირი ომის დაწყებიდან არავითარ მოქმედებას არ იჩენდა. (საკდესი).

გენერალ-მაიორი ი. ფომიჩენკო

# წითელი არმია საბჭოთა კავშირის საიმედო დასაყრდენია

I.

საბჭოთა ხალხი მესამედ აღნიშნავს წითელი არმიის დღეს დიდი სამამულო ომის ვითარებაში. ამ ხნის განმავლობაში წითელმა არმიამ სახელოვანი გზა განვლო და თავის XXVI წლისთავს ეგებება გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე შესანიშნავი გამარჯვებებით. უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით წითელმა არმიამ გაანადგურა გერმანელ ფაშისტთა ჯარები მოსკოვთან და სტალინგრადთან, ძირფესვიან გარდატეხას მიაღწია ომის მსვლელობაში და კატასტროფის წინაშე დააყენა ჰიტლერელთა არმია.

ამხანაგმა სტალინმა მოხსენებაში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავის შესახებ სთქვა: „... ჩვენმა ჯარებმა შესძლეს გასული წლის განმავლობაში ბრძოლებით გაევლოთ 500 კილომეტრიდან ფრონტის ცენტრალურ ნაწილში 1.300 კილომეტრამდე სამხრეთში და გაეთავისუფლებინათ 1 მილიონამდე კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, ე. ი. მტრის მიერ დროებით ხელში ჩაგდებული საბჭოთა მიწა-წყლის ⅔-მდე, ამასთან მტრის ჯარები უკუგდებული აღმოჩნდნენ კავკავიდან ხერსონამდე, ელისტიდან კრივოი როგამდე, სტალინგრადიდან კიევამდე, ვორონეჟიდან გომელამდე, ვიაზმიდან და რჟევიდან ორშისა და ვიტებსკის მისადგომებამდე".

გერმანელებს იმედი ჰქონდათ, რომ გამაგრდებოდნენ დნეპრზე, მაგრამ წითელმა არმიამ ჩაშალა ჰიტლერელთა ეს ვარაუდიც. განაგრძობენ რა შეტევას, ჩვენმა ჯარებმა ფრონტის მთელ რიგ უბნებზე ახლა დნეპრს იქით წინ წაიწიეს 300-400 კილომეტრით, გაათავისუფლეს უკრაინისა და ბელორუსიის მთელი რიგი დიდი სამრეწველო ცენტრები, ლიკვიდაცია უყვეს მტრის პლაცდარმს ნიკოპოლის რაიონში. ამა წლის შუა იანვარში შეტევაზე გადავიდნენ აგრეთვე ლენინგრადისა და ვოლხოვის ფრონტების ჯარები და მძიმე დამარცხებანი აგემეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს. მოკლე ხანში გადაიჭრა ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა — ლენინგრადი სავსებით განთავისუფლებულია მტრის ბლოკადისაგან და მოწინააღმდეგის არტილერიის ბარბაროსული დაშენისაგან. გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებულია აგრეთვე ძველისძველი რუსული ქალაქი ნოვგოროდიც.

წითელი არმიის მძლავრი დარტყმებით ჰიტლერელთა ჯარები სულ უფრო და უფრო შორს უკუიქცევიან დასავლეთისაკენ. წითელი არმიის გმირ მეომრებს განუწყვეტლივ ეხმარებიან ჩვენი სახელოვანი პარტიზანები. ისინი გააფთრებულ ბრძოლას ეწევიან მტრის ზურგში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ და დიდ ზარალს აყენებენ მათ. გერმანელები იძულებული არიან დაჰფარონ თავიანთი დამარცხებანი ყოველგვარი მონაჭორით ეგრეთწოდებული ფრონტის ხაზის დამოკლების შესახებ. „მაგრამ, როგორც ხალხური თქმულება ამბობს, — „რასაც დაამოკლებ—ვერ დაიბრუნებო". დაე „ამცირონ" და „ამოკლონ". ჩვენი არმია და ჩვენი ხალხი დარწმუნებული არიან: ჰიტლერელები იქამდე დამოკლდებიან, რომ ფრონტის ყველაზე მოკლე ხაზი გერმანიის არმიისათვის გაივლის მდინარე შპრეეზე, რომელზედაც ბერლინი მდებარეობს". (ა. შჩერბაკოვი).

II.

წითელმა არმიამ უდიდესი ზარალი მიაყენა გერმანელებს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. მარტო ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავიდან XXVI წლისთავამდე განვლილ პერიოდში გერმანელ ფაშისტთა არმიამ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე დაჰკარგა 4 მილიონზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, აქედან სულ ცოტა 1.800 ათასი მოკლულთა სახით. ამავე ხნის განმავლობაში ჰიტლერელებმა დაჰკარგეს 14 ათასზე მეტი თვითმფრინავი, 25 ათასზე მეტი ტანკი და სულ ცოტა 40 ათასი ქვემეხი. გერმანელთა ზარალი დღითი დღე მატულობს. მარტო ამა წლის 14-დან 25 იანვრამდე მხოლოდ ლენინგრადთან დასტოვეს მათ 40 ათასზე მეტი თავიანთი ჯარისკაცი და ოფიცერი მოკლულთა სახით.

სამამულო ომის ისტორიაში ახალი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერეს უკრაინის მე-2 და უკრაინის 1-ლი ფრონტების მებრძოლებმა და მეთაურებმა. ისინი გარშემოერტყნენ მტრის დიდ დაჯგუფებას ზვენიგოროდკისა და შპოლის ჩრდილოეთით და გაანადგურეს იგი. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე 55 ათასი კაცი დასტოვა მოკლულთა სახით. ტყვედ დაგვნებდა 18.200 კაცი. აღარ არსებობს გერმანელ დამპყრობთა მე-8 არმიის კიდევ 10 დივიზია და ერთი ბრიგადა.

ანადგურებდა რა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს, ჩვენი არმია ეუფლებოდა ბრძოლებში, განუწყვეტლივ აუმჯობესებდა თავის საბრძოლო ოსტატობას. ომის მთელმა მსვლელობამ უცილობლად დაამტკიცა საბჭოთა სტრატეგიისა და ტაქტიკის, ჩვენი ჯარების მხედრული უნარიანობისა და მორალური სულისკვეთების უპირატესობა. „წითელი არმია, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა, —ყველაზე უფრო მძლავრი და გამობრძმედილი თანამედროვე არმია გახდა". ამას განსაკუთრებით მკაფიოდ მოწმობს ისეთი მოვლენები, როგორიც არის დნეპრის გადალახვა და ლენინგრადის ფრონტის ჯარების გამარჯვებები. წითელმა არმიამ მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ მტრის ვერავითარი თავდაცვა ვერ გაუძლებს საბჭოთა მეომრების მძლავრ შეტევითს აღფრთოვანებას.

ჩვენი ხალხი დიდად აფასებს თავისი შვილების—ჯარისკაცების, ოფიცრებისა და გენერლების გმირობას.

სამამულო ომის განმავლობაში მთავრობამ ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა მილიონნახევარზე მეტი კაცი. ათასობით მებრძოლს და ოფიცერს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. მარტო დნეპრის გადალახვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა თითქმის ორი ათას მებრძოლსა და მეთაურს. წითელი არმია ნამდვილად მასობრივი გმირობის არმიაა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის გადაწყვეტილებანი მოკავშირე რესპუბლიკების საჯარისო ფორმირებათა შექმნისა და ამასთან დაკავშირებით თავდაცვის სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატიდან საკავშირო - რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატად გარდაქმნის შესახებ წითელი არმიის გაზრდილი ძალის, საბჭოთა სახელმწიფოს საბრძოლო ძლიერების მკაფიო დადასტურებაა. „რესპუბლიკათა საჯარისო ნაწილების შექმნამ, — სთქვა თავის მოხსენებაში სესიაზე ამხანაგმა მოლოტოვმა, — ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი არმიის, როგორც ჩვენი სამშობლოს დამცველის, საბჭოთა კავშირის საიმედო დასაყრდენის შემდგომ განმტკიცებას. საბჭოთა კავშირის მტრებს შეუძლიათ ეჭვი არ შეიტანონ, რომ ამ ახალ საჯარისო ფორმირებათა შედეგად ჩვენი სახელმწიფოს ძალები კიდევ უფრო განმტკიცდება. ეს აიძულებს მათ უფრო ფრთხილად მოიქცნენ შემდეგში. საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას სულ უფრო და უფრო განმტკიცების ეს ახალი განსახიერება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტის შემდგომ ზრდას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხთა თვალში".

III.

წითელმა არმიამ სახელოვანი გზა განვლო. მან გადაიტანა ფაშისტური გერმანიის ჯარების გააფთრებული შემოტევა, რომელთაც ეხმარება თითქმის მთელი ევროპის ძალები. მიუხედავად თავდასხმის უეცრობისა, მიუხედავად იმისა, რომ მტერს საბრძოლო გამოცდილება და ტექნიკის მხრივ, განსაკუთრებით ტანკებისა და თვითმფრინავების მხრივ რიცხობრივი სიჭარბე ჰქონდა, საბჭოთა მეომრები გულადად დადგნენ სამშობლოს დასაცავად და მძიმე ბრძოლებით დაიცვეს ოქტომბრის მონაპოვარნი.

თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობა არასოდეს არ დაივიწყებს ოდესისა და სევასტოპოლის დაცვის გმირულ დღეებს, მოსკოვთან და სტალინგრადის კედლებთან წარმოებულ ბრძოლებს. წითელმა არმიამ მთელი მსოფლიოს იმ ხალხთა საყოველთაო პატივისცემა მოიხვეჭა, რომელნიც ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ იბრძვიან. თავისი მამაცური ბრძოლით მან გააქარწყლა გერმანელ ფაშისტთა არმიის უძლეველობის მითი, გაუადვილა ჩვენს მოკავშირეებს აფრიკაში გამარჯვება და იტალიაში შეჭრა. საბჭოთა სახელმწიფოს და მისი გმირი წითელი არმიის მაგალითი ევროპის დამონებულ ხალხებს აღაფრთოვანებს ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის. წითელი არმიის საბრძოლო წარმატებათა საფუძველზე განმტკიცდა დემოკრატიული სახელმწიფოების ანტიჰიტლერული კოალიცია და განუზომლად გაიზარდა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში.

წითელი არმიის წარმატებები უწინარეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ ჩვენს მებრძოლებსა და მეთაურებს მხურვალედ უყვართ თავიანთი საბჭოთა სამშობლო. მათ იციან, რომ ახლანდელი ომი არის წმიდათა-წმიდა, სამართლიანი ომი ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, და ყოველი მათგანი მზად არის მთელი ძალღონე მოანდომოს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლას. „ვერასოდეს,— ამბობდა ვ. ი. ლენინი,—ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, რომლის მუშებისა და გლეხების უმეტესობამ შეიტყო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავის საბჭოთა ხელისუფლებას — მშრომელთა ხელისუფლებას, რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვებაც მათთვის და მათი ბავშვებისათვის უზრუნველჰყოფს ისარგებლონ კულტურის ყოველი სიკეთით, ყოველივე იმით, რაც ადამიანის შრომას შეუქმნია".

წითელი არმია იშვა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დღეებში, უცხოელ დამპყრობთა, რომელნიც ისწრაფვოდნენ დაემონებინათ ჩვენი ქვეყანა. 1918 წლის დამდეგს გერმანელთა ჯარები შემოიჭრნენ უკრაინაში, დაიპყრეს პსკოვი და ნარვა, იმუქრებოდნენ პეტროგრადში შემოჭრას. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას მაშინ სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა. ლენინისა და სტალინის მოწოდებით მუშებმა და გლეხებმა იარაღს მოჰკიდეს ხელი. საბჭოთა ჯარების რაზმებმა 1918 წლის 23 თებერვალს ნარვასა და პსკოვს იქით, სასტიკად დაამარცხეს ნაქები გერმანელთა დივიზიები. ეს დღე წითელი არმიის დაბადების დღე გახდა. წითელმა არმიამ სასტიკ ბრძოლებში გაანადგურა თეთრგვარდიელები, განდევნა უცხოელი ინტერვენტები, დაიცვა საბჭოთა სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა.

მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის წლებში საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით შექმნა მძლავრი მრეწველობა და მოწინავე სასოფლო მეურნეობა. იგი განუწყვეტლივ ზრუნავდა იმისათვის, რომ პირველი ხარისხის ტექნიკით აღეჭურვა წითელი არმია და სიყვარულით ზრდიდა საბჭოთა მეომრების კადრებს. ახლა ყველა ხედავს, რომ წითელმა არმიამ გაამართლა ჩვენი ხალხის იმედი, რომ იგი საბჭოთა კავშირის მძლავრი დასაყრდენი გახდა ძლიერი და ვერაგი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დიდი სამამულო ომის დღეებში ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ერთსულოვნად დაირაზმა სამშობლოს დასაცავად. ფაბრიკა-ქარხნების მუშები ამარაგებენ წითელ არმიას საჭურველით, საომარი მასალითა და ტანსაცმლით, კოლმეურნეები უზრუნველჰყოფენ მას სურსათით, საბჭოთა ინტელიგენცია აუმჯობესებს საბრძოლო ტექნიკას, წინ მიჰყავს მეცნიერება და კულტურა, თავისი შრომით ხელს უწყობს მტრის განადგურების საქმეს. მიუხედავად ომის მძიმე პირობებისა, მწყობრში დგებიან ახალი ბრძმედები, საგლინავი დაზგები, მაღაროები და შახტები, ელექტროსადგურები და რკინიგზები. ხდება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენა გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ რაიონებში. „სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, — აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი,— რომ ზურგში საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა, წითელი არმიის გმირულ ბრძოლასთან ერთად, შევა ისტორიაში, როგორც ხალხის უმაგალითო გმირობა სამშობლოს დასაცავად".

წითელი არმია იზრდებოდა და იწრთობოდა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით. ფრონტის გადამწყვეტ უბნებზე პარტიამ თავისი საუკეთესო შვილები გაგზავნა, და ისინი თავისი უმაგალითო გმირობით აღაფრთოვანებენ მებრძოლებს მათს ბრძოლაში მტრის წინააღმდეგ. იერიშზე წასვლისას ათასობით მეომარი აცხადებს: „თუ მომკლან, გთხოვთ კომუნისტად ჩამთვალოთ". ამ სიტყვებით გამოხატულია საბჭოთა ადამიანების უსაზღვრო სიყვარული ბოლშევიკური პარტიისადმი და გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორისადმი.

ბოლშევიკების პარტია და საბჭოთა მთავრობა მამობრივ მზრუნველობას იჩენენ ფრონტზე მებრძოლი მეომრების ოჯახებისადმი. „წითელი არმიის მეომრები ხედავენ,—სთქვა ამხანაგმა შჩერბაკოვმა, — რომ საბჭოთა სახელმწიფო მათ ოჯახებს გაჭირვებაში არ სტოვებს, მათ იციან, რომ საბჭოთა ხელისუფლება მათი, საკუთარი, მშობლიური ხელისუფლებაა, რომ იგი დაეხმარება მათს ცოლებსა და შვილებს, მამებსა და დედებს აღადგინონ გერმანელი მტარვალების მიერ დანგრეული მეურნეობა. ეს არის ჩვენი ჯარების მაღალი მორალურ-საბრძოლო სულისკვეთების ერთერთი წყარო".

* * *

ახლა ომი ისეთ ფაზაში შევიდა, როცა საქმე საბოლოო დასასრულს უახლოვდება. მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლისა და წითელი არმიის ორგანიზატორის დიდი ლენინის მითითება:

„პირველი საქმეა არ გაგვიტაცოს გამარჯვებამ და არ ვიყოყოჩოთ, მეორე საქმეა განვიმტკიცოთ გამარჯვება, მესამე—საბოლოოდ გავანადგუროთ მოწინააღმდეგე".

ჯერ კიდევ მრავალი სიძნელე და სასტიკი ბრძოლა მოგველის. გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები შეეცდებიან რაც შეიძლება შორეული დროისათვის გადასდონ თავიანთი ბოროტმოქმედებისათვის პასუხისგების ჟამი, განსაკუთრებული გამძვინვარებით იბრძოლებენ, თავგანწირულად ჩაებღაუჭებიან ყოველ მტკაველ დაპყრობილ საბჭოთა მიწა-წყალს. იმისათვის, რომ მტერზე საბოლოო გამარჯვებას მივაღწიოთ,—მიგვითითებს ამხანაგი სტალინი, —საჭიროა საბჭოთა ხალხის ძალ-ღონის ახალი დაძაბვა ფრონტზე და ზურგში—ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში, რკინიგზებზე, ლაბორატორიებსა და მაღაროებში.

ამხანაგი სტალინი ყოველდღე ასწავლის ჩვენს ჯარებს აუმჯობესონ თავიანთი ოსტატობა და ისე ურტყან მტერს, როგორც ამას გამარჯვების ინტერესები მოითხოვს.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით წითელი არმია გაანადგურებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს, მიაღწევს ჩვენი სამართლიანი საქმის სრულ გამარჯვებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲕᲣᲮᲕᲔᲭᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ!



ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ—მარცხნიდან მარჯვნივ: ა. გეგეშიძე, ჭ. ბენდელიანი, მ. დიასამიძე, ნ. ბერია, ა. ციციშვილი, კ. ჭყაბლაძე, ლ. ჩუბინიძე, ლ. ავალიანი.

## ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ („კომუნისტის" საკ. კორ.). წლების მანძილზე გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება აკავშირებს მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ს. ორჯონიკიძის სახელობის ორდენოსან კოლმეურნეობას უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან.

დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში უკრაინელ და ქართველ კოლმეურნეთა მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა. სოფ. შრომის ორდენოსანი კოლმეურნეობის წევრებმა მზარდი დახმარება გაუწიეს მოძმე გენიჩესკელებს გერმანელი ფაშისტი ბარბაროსებისაგან მიყენებული ჭრილობის მოსაშუშებლად.

ამ დღეებში შრომის კოლმეურნეობას უკრაინიდან ესტუმრა გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ივანე სტეფანეს-ძე ლავრენტიევი, რომელმაც თან მოიტანა მეგობარ კოლმეურნეთა წერილი. აი რას სწერენ გენიჩესკელი კოლმეურნეები სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს: „ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ დიდი გაჭირვება გამოვიარეთ, ჩვენი მშვენება და სიამაყე — ამხანაგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობა გერმანელმა ფაშისტებმა ააოხრეს. ორ წელიწადს თარეშობდნენ გერმანელები ჩვენს აყვავებულ სოფელში, მაგრამ გმირმა წითელმა არმიამ კვლავ დაგვიბრუნა თავისუფალი ცხოვრება.

გაზეთებიდან შევიტყეთ თქვენი ჩვენდამი ზრუნვა. ბევრი ჩვენგანი, მაგალითად, ვასილ ლავრენტიევი და სხვები თქვენთანაც იყვნენ და დიდად კმაყოფილი დაბრუნდნენ.

თქვენგან წერილებიც მოგვდის. დიდი მადლობა, რომ ჩვენთვის შეაგროვებიათ სურსათი, საოჯახო ნივთები, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, გამოგვიყავით პირუტ-

კოლმეურნეთა აღფრთოვანებას იწვევენ აგრეთვე ის უამრავი წერილები, რომელნიც ფრონტიდან და განთავისუფლებული უკრაინის რაიონებიდან ყოველდღე მოდის კოლმეურნეობაში. აი წერილი, რომელიც სანგარშია დაწერილი სოფ. შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. მ. ორაგველიძის მიმართ. წერილს ხელს აწერს უფროსი ლეიტენანტი უკრაინელი პონომარევი. წერილში ნათქვამია: „ძვირფასო მიხეილ ფილიპეს-ძევ! მოგილოცავთ მთავრობის მაღალ ჯილდოს—ლენინის ორდენს, გისურვებთ შემდგომ წარმატებებს ფრონტისადმი დახმარების გაწევის საქმეში. გადაეცით ჩვენი მებრძოლური სალამი თქვენი კოლმეურნეობის წევრებს".

— „თქვენმა კოლმეურნეობამ, ისე როგორც მთელმა ქართველმა ხალხმა, უდიდესი თავდადება გამოიჩინა სამშობლოს დაცვაში,—სწერს ლეიტენანტი გ. შენდრიკი, — ჩვენს ნაწილში ირიცხებიან მებრძოლები დოლიძე და შარაშიძე, ისინი სასახელოდ იბრძვიან და მუსრს ავლებენ ფაშისტ ოკუპანტებს".

ქართველი მებრძოლი გ. ნადირაძე თავის წერილში სოფ. შრომის კოლმეურნეებს მოუთხრობს საბრძოლო ეპიზოდებს, სწერს, თუ როგორ გადაარჩინა იგი სიკვდილს უკრაინელმა მებრძოლმა ხარიტონენკომ, რომელმაც გერმანელს უთანასწორო ბრძოლაში ხელიდან გამოჰგლიჯა დაჭრილი ქართველი.

მეგობრობა უკრაინელ და-ძმებთან სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ახალ შრომით ენთუზიაზმს იწვევს. კოლმეურნეობა უკვე მოემზადა საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის. მომზადებულია სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, მუშა-საქონელი. და-

[illegible]

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲭᲧᲐᲑᲚᲐᲫᲔ

ბრძოლებით განვლო მან რეჩიციდან ტულამდე და შემდეგ უკანვე იმავე სამხედრო გზით — ტულიდან რეჩიცამდე. წითელ არმიასთან ერთად მან განიცადა წარუმატებლობათა სიმწარე, გამარჯვებათა სიხარული.

კურსკთან წარმოებულ ბრძოლებში ამხ. [illegible]

[illegible] ყუმბარები და ნაღმები დიდ სიმრავლეზე სკდება. საჭიროა ჰორდაპირ გაჭრა, არტილერისტებმა უმატეს ნიჩბების მოსმას, მეავტომატეებმა ნიჩბების ნაცვლად ბარები აამუშავეს. ჩქარა, ჩქარა! აი ის ზოლიც, სადაც ყუმბარები სკდება. ღამის წყვდიადს ხშირ-ხშირად [illegible]

[illegible]



[illegible]

## Ბ. Თ. ᲡᲢᲣᲠᲣᲐ

## ᲚᲔᲜᲘᲜ-ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ

[illegible]

ᲙᲐᲠᲚᲝ. ᲙᲐᲚᲐᲫᲔ

## ᲤᲐᲜᲓᲣᲠᲘᲡ ᲮᲛᲐ

(ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ)

მე წიფნარის ტყე მიყვარდა,
მზით დამწვარი მთაგორები,
ველს მდელვარედ ვუმღეროდი
მეც ალაზნის შთაგონებით...

ცაში მე იმ ვარსკვლავს ვეძებ
რომ დამნათის ღამით თბილისს.
მზის ამოსვლა მახსენდება —
ამოხედვა ავთანდილისს!

აქ, შორითაც არა სჩანან
საქართველოს თეთრი მთები,
მაგრამ, არის ვაჟკაცობა
მტერს რაც უფრო შორს დახვდები!

დაშორებულ გულს მითრთოლებს
მხოლოდ თქვენი მოგონება, —
ეს რა დარდი გამაყოლეთ
ჩემი სოფლის გოგონებმა!

[illegible]

ომზე მეტად—სისხლის მღვრელმა
ნეტარებამ გამაკვირვა!

ვნახე მისი ჭრილა თვალი,
ჩხრეკდა ისევ ჩამქრალ კერას,
რევოლვერის ცივი ტუჩით,
დაეძებდა გულის ძგერას!

მაგრამ, ქალის თეთრი თმებთ
როცა ხელზე დაიხვია, —
ვერავს მისწვდა ჩემზე უმალ
სასიკვდილოდ ჩემი ტყვია!

და ლამეებს ჩაუსაფრდნენ
მაშინ ჩემი ყუმბარები, —
რომ მტაცებლებს არ ელირსოს
ერთი წამი მდუმარების!

და, ქართული შეძახილით
[illegible]

## ᲣᲠᲘᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნახიმოვის სასწავლებელში

დიდი ხანი არ არის, რაც მტკვრის ნაპირებზე ბლომად გამოჩნდა მატროსული ბუშლატები და ქუდები. ამ ქუდების ლენტზე ბრჭყვიალებს ოქროს ვარაყით გამოყვანილი სიტყვები: „ნახიმოვის სასწავლებელი".

ჩვენ სასწავლებელში დილაადრიან მივედით. დიდ მრავალსართულიან შენობაში, სადაც სასწავლებელი დროებით მოთავსებულა, ჯერ კიდევ ძილი სუფევდა. კორიდორებში დაიარებოდნენ მორიგე ოფიცერი, სერჟანტები და მედღეურები, კადრის მეზღვაურები. რამდენიმე წუთის განმავლობაში, სანამ მოწაფეები წამოიშლებოდნენ, სასწავლებლის უფროსის მოადგილემ პოლიტნაწილში მესამე რანგის კაპიტანმა კულეშოვმა გვიამბო ახალი სამხედრო საზღვაო სასწავლებლის შესახებ.

— ჩვენი სასწავლებლის ძირითადი მიზანია მოამზადოს ახალგაზრდა მეზღვაურები უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში შესასვლელად და ოფიცრის წოდებაში, მათი შემდგომი სამსახურისათვის. სწავლების წლებში ჩვენმა მოწაფეებმა უნდა მიიღონ დამთავრებული საშუალო განათლება, საუცხოოდ უნდა შეისწავლონ ერთ-ერთი უცხო ენა, უნდა ჰქონდეთ პირველადი ხელოსნური ჩვევები. აქ, ამ კედლებში, მომავალი საზღვაო ოფიცრები ჩინებულ ფიზიკურ წრთობას მიიღებენ, შეითვისებენ მეზღვაურის უპირველეს თვისებებს — სიმარჯვეს, გამბედაობას, ამტანობას.

კულეშოვის საუბარი შესწყვიტეს საყვირის ძლიერმა ხმებმა. სრულ 7 საათზე მებუკმ დაუკრა ფლოტში შემოღებული ტრადიციული გასაღვიძებელი სიგნალი და რამდენიმე წუთის შემდეგ კიბეებზე გაისმა ასობით ფეხის ხმა. ზოლებიანი მატროსულებით გამოწყობილი ნორჩი მეზღვაურები ფიზკულტურული ვარჯიშისათვის დაეწყვნენ. შეასრულეს თუ არა ვარჯიში, ცივი წყლით დაიბანეს ტანი წელზევით, ჩაიცვეს ბლუზები, ფლანელის სამოსელი, შემოირტყეს ქამრები და კვლავ დაეწყვნენ ახლა უკვე დილის დათვალიერებისათვის. დათვალიერება ჩაატარეს ოცეულების —კლასების მეთაურებმა, აღმზრდელმა ოფიცრებმა. დათვალიერებას დაესწრო სასწავლებლის უფროსი კონტრ-ადმირალი რიბალტოვსკი.

სრულ 8 საათსა და 45 წუთზე, დილის ჩაის შემდეგ, დაიწყო სასწავლო დღე. III რანგის კაპიტანმა განაგრძო ჩვენთან საუბარი.

— შესანიშნავი რუსი პატრიოტის სევასტოპოლის დაცვის გმირ ადმირალ ნახიმოვის ხსოვნის პატივსაცემად, ჩვენს სასწავლებელს ნახიმოვის სასწავლებელი ეწოდება. და ეს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის მიმართულებას. გამოცდილი აღმზრდელი ოფიცრები, ასეულის მეთაურები — უფროსი ოფიცრები, სასწავლო ციკლთა უფროსები, რომელთა დიდ უმეტესობას ფლოტში სამსახურის მრავალი წლის სტაჟი მოეპოვება, ისწრაფვიან გადასცენ ჩვენს მოსწავლეებს რუსი სამხედრო მეზღვაურების სახელოვანი საუკუნოვანი ტრადიციები, თავიანთი მრავალი წლის გამოცდილება. ამ სასწავლებელში შემოდიან 10-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვები. აქედან შემდგომი დახელოვნებისათვის წავლენ ახალგაზრდა მეზღვაურები, რომელთაც საუცხოოდ ეცოდინებათ სამხედრო-საზღვაო საქმის საფუძვლები, დაეწაფებიან საზღვაო კულტურას, გავლილი ექნებათ პრაქტიკა ბანაკებში და გემებზე, ეყვარებათ ზღვა...

...ჯერ კიდევ შორეული ზღვა აღბეჭდილია მოწაფეების წარმოდგენაში, იგი უახლოვდება მათ ძველი ფრუნზელი მეზღვაურის მეორე რანგის კაპიტან კედროვის წარმტაცი თხრობით. ზღვას ხედავენ ისინი კედლებზე დაკიდებული სურათებით, ზღვა არის პატარა ბიჭუნების ფიქრში, რომელნიც გულმოდგინედ სწავლობენ საზღვაო სემაფორს ანდა მუყაოთი აკეთებენ უბრალო ხომალდებს. ზღვაზე ოცნებობენ უფროსკლასელი მოსწავლეები, რომელნიც კითხულობენ სტანიუკოვიჩის, ტარლეს, ნოვიკოვ-პრიბოის, სობოლევის წიგნებს ვრცელ ბიბლიოთეკაში.

პირველი გაწვევის მოსწავლეთა უმეტესობა გერმანელთა წინააღმდეგ ბრძოლებში დაღუპულ მეზღვაურთა, სამამულო ომის გმირთა და ფლოტის იმ დამსახურებულ ოფიცერთა შვილებია, რომელნიც ამჟამად იბრძვიან. აქ სწავლობს უკვალოდ დაკარგული ბალტიელი მატროსის სულინის შვილი — ვიქტორი, ჩრდილოეთზღვეელი დაღუპული წითელფლოტელის ლარინის შვილი — ვლადიმერი, შვილი გმირ მეზღვაურ სინელნიკოვისა, რომელიც მამაცთა სიკვდილით დაიღუპა სევასტოპოლთან, აგრეთვე დაღუპულ პოლკოვნიკ დონესის შვილი — ნიკოლოზი.

სასწავლებელში სწავლობენ პარტიზანული რაზმის მეთაურის, კრასნოდარში გერმანელების მიერ ჩამოხრჩობილი მანგაროვის შვილები — მიხეილი და გრიგოლი. ზღვაზე სამსახური გადასწყვიტა III რანგის კაპიტნის შვილმა ოლეგ შერიხმა, რომელიც ნევის ნაპირებზე დაიბადა, და საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-მაიორ ტრუბაჩოვის შვილმა — ვლადიმერმა, რომელიც ფეოდოსიაში დაიბადა. სასწავლებელში სწავლობს სამხედრო მფრინავის მაიორ ფრუიძის შვილი იური. აქვე სწავლობენ უფროს სერჟანტ გაჩეჩილაძის შვილი — ენოლსი და კავკასიის დამცველ უფროს ლეიტენანტ კამალაშვილის შვილი — ავთანდილი.

ზოგიერთი აქ მოიყვანა საფრონტო გზებმა მათთვის წლოვანების მიხედვით შეუფერებელმა სერიოზულმა სამხედრო ბედმა, რაც მათ წილად ხვდათ. 14 წლის ვასილ ჩერტენკოს მკერდს უმშვენებს წითელი ვარსკვლავის ორდენი და წარჩინებული მზვერავის ნიშანი. როცა მის მშობლიურ გეორგიევსკში გერმანელები მივიდნენ, ვასილი პარტიზანებს გაჰყვა. მათთან ერთად დადიოდა დაზვერვაზე, მტრის ზურგში აფეთქებდა ხიდებს, პარაშუტით ხტებოდა თვითმფრინავიდან. ჩრდილოეთ კავკასიის განთავისუფლების შემდეგ ჩერტენკო შევიდა ბათუმის სკოლაში, იქიდან კი ნახიმოვის სასწავლებელში.

ლურჯთვალა, ცქვიტი ლენინგრადელი ბიჭუნა პავლუშა ვერშინინი ზედ ომის წინ დეიდასთან წავიდა ორიოლის ოლქში არდადეგების გასატარებლად. შემდეგ ნორჩი პარტიზანი ორ წელიწადს იყო კლეტნის, ელნის, სოფიევკისა და დობრიანსკის ტყეებში. მან ნახა მტრის მიერ აოხრებული ორიოლის ოლქისა და უკრაინის სოფლები, ნახა სახრჩობელები, ცეცხლი. პავლუშა ჩინებულად ხმარობს გრანატსა და კარაბინს. მან სამი გერმანელი მოკლა.

კალინინის ოლქის პლოსკოშინის რაიონის სოფელ ლუჩკის მცხოვრები ვასია პეტროვი გვარდიელია, დაჯილდოებულია მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის". ორი წლის საფრონტო ცხოვრების მანძილზე მას მონაწილეობა მიუღია ბევრ ბრძოლაში, იგი იყო ცხენოსანი მზვერავი. ვასიას მამა დაიღუპა, ძმა და და ფრონტზე ჰყავს, დედა კოლმეურნეობაშია.

ზღვის უცნობი როდი მოვიდა სასწავლებელში სატორპედო კატერების ბრიგადის მოსწავლე ვალერი ლიალინი. ერთ-ერთი ოპერაციის დროს, კატერს, რომელშიც ლიალინი იყო, რამდენიმე ყუმბარა მოხვდა. დაიჭრა კატერის მეთაური, ბოცმანი, რადისტი. ნორჩი მეზღვაური საჭეს მიუჯდა და მტრის ცეცხლიდან გამოიყვანა კატერი. ლიალინსაც საბრძოლო მედალი უმშვენებს მკერდს.

აი ასეთი ჭაბუკები უნდა აღვზარდოთ საბჭოთა საზღვაო ოფიცრებად.

...ამასობაში გაისმა საყვირის ხმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დაიწყო დიდი დასვენება. შუადღის ნოყიერი საუზმის შემდეგ კვლავ მეცადინეობა იწყება. სასწავლებელში დღე ისეა განაწილებული, რომ დრო უსარგებლოდ არ დაიკარგოს. საკმარისია ითქვას, რომ უფროს კლასელებს 18-მდე სასწავლო დისციპლინა აქვთ — ალგებრა, გეომეტრია, რუსული ენა, ერთ-ერთი უცხო ენა, გალობა, ხატვა, მუსიკა, ცეკვა. რუსულ ენას, მაგალითად, კვირაში 11 საათი აქვს დათმობილი. უცხო ენას პირველი კლასიდანვე სწავლობენ. მასწავლებლებად არიან თბილისის საუკეთესო პედაგოგები, ზოგჯერ კი პროფესორებიც.

დიდი სასწავლო დღის შემდეგ დრო საკმარისია იმისთვისაც, რომ მოსწავლეებმა ითამაშონ, გაერთონ, თავი შეიქციონ. ხმაურითა და სიცილით ივსება დარბაზები, სადაც უმცროსი მოსწავლეები თამაშობენ. უფროსები დღეს შეხვდებიან საქართველოს ხელოვნების ოსტატებს, ხვალ კი საუკეთესო ფიზკულტურელებს. საღამოს კლუბში ახალ ფილმს უჩვენებენ. სახელმწიფოს ყურადღება ნორჩი მეზღვაურების აღზრდისადმი ყველაფერს ეტყობა, დაწყებული საუცხოო კვებით და დამთავრებული იმისათვის ზრუნვით, რომ სასწავლებლის ყველაზე პატარა მოწაფემაც თავის შესაფერი თამაშობა გამონახოს.

როცა ქუჩაში მიდის ნორჩ მეზღვაურთა რაზმი და მათი ქუდების ლენტებზე ოქროს ასოებით არის გამოყვანილი — „ნახიმოვის სასწავლებელი" — იცოდეთ, რომ ესენი მომავალი ფლოტელები არიან.

**ნ. რუსიშვილი.**

## „ფრონტი"

კინო „რუსთაველში" უჩვენებენ საინტერესო ფილმს—„ფრონტს", დადგმულს ა. კორნეიჩუკის იმავე სახელწოდების პიესის მიხედვით. პიესა ასახავს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ წითელი არმიის გმირული ბრძოლის პირველ პერიოდს.

ფილმი გვიჩვენებს წითელი არმიის სარდლების მაღალ სამხედრო ხელოვნებას, მებრძოლებისა და ოფიცრების თავდადებულ ბრძოლას ჰიტლერელთა წინააღმდეგ. ფილმში ყველაზე ძლიერად არის გაკეთებული სერგეი გორლოვის და მისი თორმეტი „მოციქულის", თორმეტი გმირი არტილერისტის ბრძოლა გერმანელთა ტანკების წინააღმდეგ. ეს სცენა ფილმის დამდგმელებს ისეთი რეალობით, დამაჯერებლობით აქვთ გაკეთებული, რომ მაყურებელს, რომელსაც ნამდვილი ფრონტი არ უნახავს, სრული წარმოდგენა რჩება იმ ბრძოლებზე, რაც ფრონტზე ყოველდღე ხდება.

„ფრონტი" დადგეს რეჟისორებმა ძმებმა ვასილიევებმა, ოპერატორი — ა. დუდკო, მთავარი მხატვარი — ბ. დუბროვსკი-ეშკე. მთავარ როლებს ასრულებენ: ბ. ჟუკოვსკი, ბ. ბაბოჩკინი, პ. გერაგა, ბ. დმოხოვსკი, ვ. ვანინი, ბ. ჩირკოვი, ლ. სვერდლინი, ნ. კრიუჩკოვი, პ. ვოლკოვი. ფილმი გამოშვებულია სამხატვრო ფილმების ცენტრალური გაერთიანებული კინოსტუდიის მიერ ქ. ალმა-ატაში.

# დეპეშები

## ამერიკის ავიაციის დიდი თავდასხმა გერმანიაზე

**ლონდონი,** 21 თებერვალი (საკდესი). საომარი მოქმედების ევროპის ასპარეზზე მყოფი ამერიკელთა სტრატეგიული სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობის შტაბი იუწყება, რომ 21 თებერვალს ამერიკის მერვე საავიაციო კორპუსის მძიმე ბომბდამშენთა შენაერთებმა ინგლისის ავიაგამანადგურებელთა თანხლებით დაბომბეს სამხედრო ნაგებობანი ჩრდილოეთ და დასავლეთ გერმანიაში. ამ ოპერაციებში დაახლოებით იმდენივე თვითმფრინავი იღებდა მონაწილეობას, რამდენიც 20 თებერვალს დიდი თავდასხმის დროს.

## ახალი დანიშვნები იაპონიის შეიარაღებულ ძალთა სარდლობაში

**ტოკიო,** 21 თებერვალი (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს, იაპონიის იმპერატორმა პრემიერ-მინისტრი გენერალი ტოძიო დანიშნა გენერალური შტაბის უფროსად შეთავსებით, ნაცვლად ფელდმარშალ სუგიამასი, რომელიც განთავისუფლებულია ამ პოსტიდან. გენერალური შტაბის უფროსის მოადგილედ დანიშნულია გენერალი უსიროკუ. ამავე დროს მან დაიკავა უმაღლესი სამხედრო საბჭოს წევრის პოსტი.

საზღვაო გენერალური შტაბის უფროსის პოსტიდან განთავისუფლებულია ფლოტის ადმირალი ნაგანო. მის მაგივრად საზღვაო გენერალური შტაბის უფროსის პოსტზე იმპერატორმა შეთავსებით დანიშნა საზღვაო მინისტრი ადმირალი სიმადა.

ცენტრალური სამხედრო ოლქის მთავარსარდლად დანიშნულია გენერალ-ლეიტენანტი სიოძირო.

## საომარი მოქმედება იტალიაში

**ლონდონი,** 22 თებერვალი (საკდესი). მოკავშირეთა ჯარების მთავარი ბანაკი იტალიაში იუწყება, რომ 20 თებერვალს ღამით მტრის კატერების ჯგუფი ცდილობდა მოახლოვებოდა ანციოს, მაგრამ გაფანტულ იქნა ამერიკის საგუშაგო ხომალდების მიერ. ყუმბარით დაზიანებული ერთი კატერი აფეთქდა, მეორე, როგორც ფიქრობენ, ნაპირზე გაირიყა.

ყველა ფრონტზე დღემ შედარებით წყნარად ჩაიარა.

ავიაცია განაგრძობდა მტრის საომარი ობიექტების დაბომბვას.

## ომი წყნარ ოკეანეში

**ლონდონი,** 22 თებერვალი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მოკავშირეთა სამხედრო საზღვაო ძალები განაგრძობენ ბისმარკის კუნძულების ბლოკირებას. უკანასკნელ კვირაში იაპონელებმა ბისმარკის ზღვის ოპერაციებში დაჰკარგეს 44 გემი და 164 თვითმფრინავი.

მოკავშირეთა ავიაცია განაგრძობდა რაბაულზე იერიშის მიტანას და ძლიერ დაანგრია იაპონელთა ორი აეროდრომი.

**ვაშინგტონი,** 22 თებერვალი (საკდესი). ა. შ. შტატების საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ ამერიკის ჯარებმა სავსებით დაიკავეს ენივეტოკის კუნძული (მარშალის კუნძულები).

ამერიკის ორმა წყალქვეშა ნავმა, რომლებიც ოპერაციებს ეწევიან იაპონიის წყლებში, ჩასძირეს იაპონელთა 13 სატვირთო გემი 68.200 ტონა საერთო წყალწყვისა.

## სიმოვიჩის გამოსვლა

**ლონდონი,** 21 თებერვალი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ბრიტანეთის რადიომაუწყებელმა კორპორაციამ გუშინ, 19 თებერვალს გადასცა გამოსვლა გენერალ სიმოვიჩისა, რომელიც ხელმძღვანელობდა სახელმწიფო გადატრიალებას, რამაც დაამხო იუგოსლავიის პრონაცისტული მთავრობა 1941 წლის მარტში. სიმოვიჩმა მიმართა თავის თანამემამულეებს — სერბიელებს და მოუწოდა, შეუერთდით მარშალ ტიტოს სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას. სიმოვიჩმა ქებით მოიხსენია ტიტოს არმიის ოპერაციები და დაჰგმო იუგოსლავიის კაიროს მთავრობის მოღვაწეობა.

„შეუძლებელია, — განაცხადა სიმოვიჩმა,— რომ ვინმემ, მოღალატეებს გარდა, საბოტაჟი გაუწიოს ჩვენი ხალხის შესანიშნავ განმათავისუფლებელ ბრძოლას. ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას იუგოსლავიაში მხარს უჭერენ ჩვენი მოკავშირეები: რუსეთი, დიდი ბრიტანეთი და ამერიკა. ამ მოძრაობამ უნდა გააერთიანოს პატრიოტების მთელი მოღვაწეობა იუგოსლავიაში და უცხოეთში მტერზე გამარჯვების ერთადერთი მთავარი მიზნით.

სიმოვიჩმა მოუწოდა სერბიელ ხალხს გაერთიანდეს თავის ძმებთან — ხორვატებსა და სლოვენებთან. „აქტიური ბრძოლა მტრის წინააღმდეგ ყოველი სერბიელის პატრიოტულ მოვალეობას წარმოადგენს",—სთქვა მან.

## პანიკური განწყობილება რუმინეთში

**სტამბოლი,** 22 თებერვალი (საკდესი). ჰიტლერის რუმინელ დამქაშთა შორის უძლიერესი პანიკა სუფევს. მის მიზეზს ამჟღავნებს რუმინული გაზეთი „ვიაცა", რომელიც შიშით ადასტურებს, რომ „წითელი არმია უახლოვდება რუმინეთის საზღვრებს".

ანტონესკუს ხროვას განსაკუთრებით აშფოთებს ის ფაქტი, რომ, მიუხედავად გერმანიისა და რუმინეთის სამხედრო მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებისა, რუმინეთის მოსახლეობას, როგორც გაზეთი „უნივერსული" სწერს, „არა სურს გაიმსჭვალოს მომენტის სერიოზულობით და არ ცდილობს შექმნას მორალური სოლიდარობა ზურგში".

გაზეთ „პორუნკა ვრემიის" რედაქტორი რადულესკუ სჩივის: „ყველა ნაპრალიდან მოძვრებიან მავნე ხმების გამავრცელებლები. ეს საშიში ელემენტები სთესს არჩობენ ჩვენს ერთიანობაში და გარშემო უიმედობასა და სასოწარკვეთილებას ავრცელებენ".



**მოქმედი არმია** (უკრაინის მე-3 ფრონტი). ჩვენი ნაწილები შეტევაზე მიდიოდნენ. სნაიპერმა ზემდეგმა **ი. მ. ნაყეურმა** ამ ბრძოლაში მოწინააღმდეგის 2 ოფიცერი და 15 ჯარისკაცი მოსპო და შაშხანის სროლით ცეცხლი წაუკიდა საომარი მასალებით დატვირთულ ავტომანქანას. მამაცი ზემდეგი დაიჭრა, მაგრამ სროლას განაგრძობდა და სიკვდილს გადაარჩინა მძიმედ დაჭრილი მეთაური ლეიტენანტი კ. ნ. ლასუნოვი. ზემდეგი ნაყეური დაჯილდოებულია წითელი დროშისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებით და ორი მედლით „მამაცობისათვის". სურათზე: კაპიტანი ვ. მ. კოვინოვი სნაიპერულ შაშხანას აძლევს ზემდეგ ნაყეურს. ცენტრში — მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში უფროსი ლეიტენანტი ლ. მ. კრავცოვი.

ფოტო გ. დმიტრიევისა (საკდესის ფოტოქრონიკა)





მარცხნივ: **„შურის ძიება"**
ქანდაკება თამარ აბაკელიასი
მარჯვნივ: „ქართველი [illegible] კავკასიის დაცვაში"
ქანდაკება ირაკლი ოქროპირიძისა
ფოტო რ. აკოფოვისა

## უკვდავვყოთ გმირ ფეხბურთელთა ხსოვნა

გაზეთ „სოვეტსკაია უკრაინაში" დაბეჭდილი პ. სევეროვის წერილი „უკანასკნელი ბრძოლა" აგვიწერს შემაძრწუნებელ ტრაგედიას, რომელიც მოაწყეს ფაშისტმა მკვლელებმა. საკონცენტრაციო ბანაკში მყოფ კიეველ ოსტატ ფეხბურთელებს ქალაქის კომენდანტის ბრძანებით წინადადება მისცეს ეთამაშნათ ფაშისტ ფეხბურთელთა გუნდთან. ამავე დროს საკონცენტრაციო ბანაკის უფროსმა დასძინა: „გიმეორებთ: გერმანელებმა უნდა გაიმარჯვონ. ამით თქვენ მდგომარეობა შეგიმსუბუქდებათ".

ნათელია, თუ რა მიზანს ემსახურებოდა გერმანელ ფაშისტთა ეს ყალთაბანდური ხერხი. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ საკონცენტრაციო ბანაკში არაქათგამოლეულ საბჭოთა სპორტსმენებს სასტიკად დაამარცხებდნენ ჰიტლერის ნაშიერები. გამარჯვება ფრიცებს იმისათვის უნდოდათ, რომ დაემტკიცებინათ „გერმანული რასის" წარმომადგენელთა უპირატესობა.

მატჩს გარდა გერმანელებისა დაესწრო დიდი რაოდენობა მოსახლეობისა, რომლებსაც სურდათ, უსაზღვროდ სურდათ საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვება. ამას გრძნობდა საბჭოთა ფეხბურთელების მთელი გუნდი. და მეკარე ტრუსევიჩის სიტყვებმა — „ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ. შეხედეთ ტრიბუნებს. კიევი ელის ჩვენს გამარჯვებას. იგი მას ესაჭიროება. ესაჭიროება როგორც ჰაერი",—ქანცგამოლეული სპორტსმენები უდიდესი ენერგიით აავსო. არც ერთი მათგანი არ ფიქრობდა იმაზე, თუ გამარჯვება რა უბედურებას დაატეხდა თავზე მათ. ისინი გამსჭვალული იყვნენ მხოლოდ ერთი გრძნობით—„უნდა გავიმარჯვოთ. ფაშისტები კიდევ ერთხელ უნდა დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა ადამიანები უძლეველნი არიან".

და გაიმარჯვეს კიდეც! 5:0 — ასეთია ამ მატჩის შედეგი.

ამ გამარჯვებით საბჭოთა სპორტსმენებმა თავსლაფი დასხეს ქერა არიელებს, მოახლოებული გამარჯვების იმედით აავსეს საბჭოთა ადამიანების გული, ხოლო გერმანელ ავაზაკთა ხროვას პირში მიახალეს — საბჭოთა ხალხი არასდროს არ დამარცხდება.

ყოველივე ამას გრძნობდნენ ჰიტლერელი ჯალათები და ამიტომაც იყო, რომ უსასტიკესად იძიეს შური. ჯალათმა რადომსკიმ პირადად დახვრიტა სამშობლოს ერთგული შვილები, საბჭოთა სპორტის საუკეთესო წარმომადგენლები — ტრუსევიჩი, ტიუტჩევი, კუზმენკო, კლიმენკო და სხვ.

ტრუსევიჩის უკანასკნელი სიტყვები იყო: „გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვრჩება. თქვენ ვერ მოჰკლავთ მას, ძაღლებო... ჩვენ გავიმარჯვებთ!" ეს სიტყვები გამარჯვებისა და შურისგებისაკენ მოგვიწოდებენ. საბჭოთა ხალხი, საბჭოთა სპორტსმენები უსასტიკესად ვიძიებთ შურს ყველა იმ ბოროტებისათვის, რაც ჩაიდინეს გერმანელმა კაციჭამიებმა ჩვენს მიწა-წყალზე.

საბჭოთა ადამიანები არასდროს არ დაივიწყებენ სამშობლოსათვის დაღუპულ პატრიოტებს. ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ უკვდავჰყონ გმირების სახელი და დიდება. და აი კიეველ სპორტსმენთა მამაცურ სიკვდილს პირველად გამოეხმაურა კიევის მცხოვრები პ. ს. გუტოვა, რომელიც ამჟამად მუშაობს ქარხანაში, სადაც დირექტორად არის ამხ. სალაძე. ამხ. გუტოვამ ქარხკომს სთხოვა მიეღო მისი ნახევარი თვის ხელფასი კიევში გმირ ფეხბურთელთათვის ძეგლის ასაგებად. ამავე დროს ამხ. გუტოვამ ითხოვა, რომ მისი მომართვა გადაეცათ საქართველოს ფიზკულტურული საზოგადოებრიობისათვის, რათა მან აქტიური მონაწილეობა მიიღოს ძეგლის აგებაში. ამხ. გუტოვას პატრიოტულმა მოწოდებამ უკვე ფართო გამოძახილი ჰპოვა საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებსა და ცალკეულ ფიზკულტურელებში.

თბილისის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კოლექტივის ინიციატივით საბჭოთა ფიზკულტურელები გარდა ძეგლისა აგებენ აგრეთვე კიეველ ფეხბურთელთა სახელობის ავიაესკადრილიას. ძეგლისა და ავიაესკადრილიის ასაგებ ფონდში თანხები გადარიცხეს სასპორტო საზოგადოება „სპარტაკმა", თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა, თბილისის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტმა, ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკურმა და თბილისის საქალაქო კომიტეტებმა და სხვ.

ხალხთა სტალინური მეგობრობის გრძნობით გამსჭვალულნი საქართველოს ფიზკულტურელები აღფრთოვანებით აგროვებენ თანხებს მოძმე უკრაინის გმირულად დაღუპულ სპორტსმენთა ძეგლის ასაგებად. ძეგლი, რომელიც დაიდგმება კიევის „დინამოს" სტადიონზე, იქნება სიმბოლო კიეველ გმირ სპორტსმენთა უკვდავი დიდებისა და საბჭოთა ხალხების მტკიცე, ურყევი ძმობისა და მეგობრობისა.

**თ. სხირტლაძე**

საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე

## კიეველ ფეხბურთელთა ძეგლისა და მათი სახელობის ესკადრილიის ასაგები ფონდის სპეციალური ანგარიში სახბანკში

სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ გახსნა სპეციალური ანგარიში № 160.276, რომელზეც გადაირიცხება როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური შენატანები ძეგლისა და ავიაესკადრილიის მშენებლობის ფონდში.

## საჩუქარი როსტოველ ბავშვთათვის

**მახარაძე** („კომუნისტის" საკ. კორ.). ფ. მახარაძის სახელობის საბავშვო სახლმა, რომლის დირექტორი არის ამხ. უ. ჭეიშვილი, დონის როსტოვის ერთ-ერთი საბავშვო სახლის შეფობა იკისრა.

დონის როსტოვიდან ამ დღეებში ქ. მახარაძეში ჩამოვიდა დელეგაცია, რომელშიც შედიან ამხ. ალექსანდრა სავენა და ოლღა ნეკრასოვა. მათ გვიამბეს, რომ დონის როსტოვის საბავშვო სახლი ფაშისტებმა გაძარცვეს. აღსაზრდელები და აღმზრდელები დროულად ევაკუირებული იქნენ ღრმა ზურგში (ურალში), როცა წითელმა არმიამ დონის როსტოვი გაათავისუფლა, საბავშვო სახლი დაუბრუნდა თავის ბინას, მაგრამ ყველაფერი დანგრეული და გაპარტახებული დახვდა.

მახარაძის საბავშვო სახლის აღსაზრდელებმა და აღმზრდელებმა ფაშისტებისაგან მიყენებული ზარალის აღსადგენად როსტოველ ბავშვებს თავიანთი წვლილი გაუგზავნეს. საჩუქარში შედის ერთი ტონა სიმინდი, 3 ღორი, 1 ძროხა, ლიტერატურა და სათამაშოები, აგრეთვე 14 ათასი მანეთი ფულად. საჩუქარი უკვე გაიგზავნა.

**ლ. ლოლაძე**

## სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავად

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივით მოეწყო სტუდენტთა სამთო-სათხილამურო გადასვლა მარშრუტით ბაკურიანი-აბასთუმანი-ქუთაისი, რომელშიც მონაწილეობდა ინსტიტუტის 20 სტუდენტი.

მოთხილამურეებმა 6 დღეში გაიარეს 195 კილომეტრი და გადალახეს ზეკარის და ყაჩაკაიას გადასასვლელები.

გზა და გზა მოსახლეობაში ტარდებოდა საუბრები და მოხსენებები საერთაშორისო საკითხებზე, გმირ წითელ არმიაზე. გადასვლის მონაწილეებს მოსახლეობა გულთბილ შეხვედრას უწყობდა.

გადასვლის ხელმძღვანელი იყო ა. გაფრინდაშვილი, პოლიტხელი გ. თელია.

სამთო-სათხილამურო გადასვლა, რომელიც დიდი ორგანიზებულობით ჩატარდა, მიეძღვნა მუშურ-გლეხური წითელი არმიის XXVI წლისთავს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXIII წლისთავს.

**ზ. იოსელიანი**

## ძველი საქართველოს არქიტექტურა

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა მოაწყო აკადემიკოს გ. ნ. ჩუბინაშვილის მოხსენება თემაზე: „ძველი საქართველოს არქიტექტურა".

მომხსენებელმა გააშუქა ქართული არქიტექტურის მრავალსაუკუნოვანი განვითარების ორი ძირითადი ეტაპი, ანალიზი გაუკეთა მცხეთის ჯვრის (VI საუკუნე), ქუთაისის ბაგრატის ტაძრისა და კახეთის ალავერდის ტაძრის (XI საუკუნე) არქიტექტურას.

მოიყვანა რა ანალოგია მუსიკის ისტორიიდან, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გამოკვეთულ იქნას წმინდა ეროვნული თავისებურებანი ქართული კულტურის ყველა დარგში, რომლებიც ძირითადად სავსებით დამოუკიდებლად იქმნებოდნენ და ვითარდებოდნენ.

მოხსენების შემდეგ აკადემიკოსმა გ. ნ. ჩუბინაშვილმა დაწვრილებითი პასუხი გასცა მსმენელთა შეკითხვებზე.

ლექციამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრეთა შორის. (საქდესი).

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ვ. ხატიაშვილი**

## მაიორი ვ. ესაიაშვილი

# ლექსები სანგრებიდან

ამ ლექსების დიდი უმრავლესობა დაწერილია ცეცხლის წინა ხაზზე—სანგრებსა და ბლინდაჟებში, უმკაცრესი ბრძოლების მცირედი შეყოვნების პერიოდში. ამიტომაც ეს ლექსები განსაკუთრებით საინტერესოა და ყურადღების ღირსი. ისინი გამოირჩევიან მებრძოლთა განცდებისა და გრძნობების გადმოცემის უშუალობით.

მებრძოლები თავიანთ ლექსებში გამოხატავენ უსაზღვრო სიყვარულს სამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი. ისინი აღუთქვამენ საბჭოთა ხალხს გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ თავდადებულ ბრძოლას და სიცოცხლის გაწირვასაც კი სამშობლოს დიდებისა და თავისუფლებისათვის. მებრძოლები სწერენ თავიანთ მოვალეობასა და ამოცანებზე სამამულო ომში, სამხედრო ფიცის ურყევად შესრულებაზე, მტრისადმი სიძულვილზე და უახლოეს მომავალში წითელი არმიის გარდუვალ საბოლოო გამარჯვებაზე.

ეს ლექსები სამხედრო ფიცია, ბრძოლების უშუალო მონაწილეთა მიერ ცალ ხელში იარაღით, ცალ ხელში ფანქრით დაწერილი. ისინი მებრძოლთა აზრები და ფიქრებია, რომლითაც ისინი ცოცხლობენ და სულდგმულობენ ფრონტზე.

ლექსების ერთი ნაწილი მიძღვნილია სამშობლოსადმი. მებრძოლები აღწერენ ჩვენი დიადი სამშობლოს წარმტაც სილამაზეს, მის ულევ სიმდიდრეს, ბედნიერ და სამარ ცხოვრებას, რომელიც ჩვენმა ხალხმა დაიმკვიდრა, და დაასკვნიან, რომ ამ სამშობლოს დაიცავენ გმირულად, გასწმენდენ მის მიწა-წყალს გერმანელი ფაშისტი არამზადებისაგან.

მზვერავმა უმცროსმა სერჟანტმა, გრიგოლ კალაძემ რამდენიმე ლექსი დასწერა სამშობლოსადმი სიყვარულის თემაზე. ერთ-ერთ ლექსში ის სწერს:

„ჩემო სამშობლოვ, შენს წმინდა მიწას,
შენს ჰაერს, შენს წყალს და არე-მარეს
არ დავანებებთ მტრის ბინძურ ხელებს,
მალე გავუთხრით ჩვენ მას სამარეს".

მამაცი სერჟანტი ღრმად არის დარწმუნებული, რომ საბოლოო გამარჯვება ახლოა. მალე სავსებით გაიწმინდება ჩვენი მიწა-წყალი გერმანელ დამპყრობთაგან. ქვეყანა მოიშუშებს ჭრილობებს. აღსდგებიან დანგრეული ქალაქები და სოფლები. სტალინის გენით ხალხს ისევ დაუბრუნდება მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრება.

ეფრეიტორი გრ. ნოდია ლაპარაკობს მებრძოლთა მოვალეობაზე და მოუწოდებს მათ:

„უნდა დავიცვათ ჩვენი სამშობლო,
ჩვენი ღირსება და სიხარული,
დიდი ოქტომბრის ცეცხლით ნაშობი,
ხალხის ალამი და სიყვარული".

მეორე ლექსი, რომელიც გრ. ნოდიამ მიუძღვნა ჩვენი ფრონტის გმირ მებრძოლებს, შესანიშნავად გადმოგვცემს თავისი, როგორც კომუნისტი მეომრის, ცხოვრებას და სამშობლოსა და ბელადისადმი სიყვარულს:

„წინა ხაზზე ვარ, მტრის საზღვრად ვსახლობ,
ვიწყებ შეტევას ფრონტზე ხვალ დილით,
ვდგები შაშხანით, ბელადის ზრუნვით
ბოლშევიკური სულით აღზრდილი".

უაღრესად მაღალი და კეთილშობილურია ქართველ მებრძოლთა პოლიტიკური შეგნება, მოძმე ხალხების წინაშე მათი მოვალეობის შეგნება. ისინი მიისწრაფვიან რაც შეიძლება მალე გაათავისუფლონ დროებით ოკუპირებული ქალაქები და სოფლები.

„მცირე მიწაზე" გადასხმული დესანტის მონაწილე წითელფლოტელმა გელაშვილმა ლექსი უძღვნა ქალაქ ნოვოროსიისკს მისი განთავისუფლების წინა დღეებში და ასე მიმართა მას:

„ნუ სწუხარ, ჩვენო ტურფა ქალაქო,
ჩვენ ყველამ ვიცით შენი დარდები,
გავარღვევთ ხელში შაშხანით ზღუდეს...
შენთვის კი მოგვაქვს ია-ვარდები".

„კომუნისტის" მკითხველებისათვის განსაკუთრებით კარგად არის ცნობილი, თუ რა ხალისით მიდიოდნენ ქართველი მეომრები ტამანისათვის ბრძოლებში და რა დიდი ვაჟკაცობა და გმირობა გამოიჩინეს მათ მისი განთავისუფლების საქმეში. ამ ბრძოლების დღეებში მრავალი ლექსი დაიწერა ტამანის შესახებ.

მ. რეხვიაშვილმა ლექსი უძღვნა ანაპის 414-ე დივიზიას, რომელმაც ბრძოლებით გაიკვლია გრძელი გზა მოზდოკიდან ტამანამდე და ჩაება ბრძოლებში ტამანისა და ანაპის განთავისუფლებისათვის. ავტორმა ასე მიმართა თავის დივიზიას:

„მაშ უშიშრად ისევ წინ, წინ გასწიე,
ხელ-პირს გბანდის მშობლიური ცვარ-ნამი,
ბრძოლის დროშა უფრო მაღლა ასწიე,
ტყვეობიდან გამოვიხსნათ ტამანი".

ტამანის განთავისუფლების შემდეგ, ბრძოლების მონაწილე უფროსმა სერჟანტმა ვალერიან ელენტმა დასწერა ლექსი „ტამანი", რომელშიაც იგი მიმართავს განთავისუფლებულ ქალაქს:

„ახლა კვლავ ხარობს ეგ შენი მიწა,
მას ველარ თელავს ფაშისტთა ხროვა,
შენ აწი მტერი ველარ გიხილავს,
ის სამუდამოდ გამოგეთხოვა".

ავტორი შემდეგ ასეთი სიტყვებით მიმართავს ტამანს, რომელიც ფიქრობს ქერჩის მალე განთავისუფლებაზე:

„შენ იზეიმე სრული ზეიმით,
არ შეგაფიქროს ოდნავაც ამან,
დღეს თუ ხვალ ქერჩიც თავისუფალი
ხელს გამოგიწვდის—სალამი ტამან!".

მაღალ პატრიოტულ გრძნობას გამოხატავს ი. ჰურაშვილი თავის ერთ-ერთ ლექსში, როცა ამბობს:

„ჩემი ხაური, რომელიც მე ჯერ არ
მინახავს,
თითებს მიხატავს და მიგზავნის საბრძოლო
ველზე,
—ჩქარა, მამიკო, ჩემი ცაციც დავაეკაცდება
და მეც წამოვალ საიერიშოდ აბეზარ
მტერზე".

მეტად საინტერესოა ვ. ბურდულის ლექსი „თუ გსურს სიცოცხლე შეინარჩუნო". ლექსი ეხება სამხედრო ფიცს. აქ ავტორი მიუთითებს ფიცის ურყევად შესრულებაზე და მიმართავს მებრძოლებს, რომ ფიცის შესრულება ნიშნავს მოსპო რაც შეიძლება მეტი ჰიტლერელი:

„სამშობლო ითხოვს, გმირო მებრძოლო,
რომ შეასრულო სამხედრო ფიცი,
თუ გსურს სიცოცხლე შეინარჩუნო,
მოჰკალი მეტი ჰანსი და ფრიცი!".

ჩვენს ხელთ არის მრავალი ლექსი, მებრძოლის მიერ ხალხურ კილოზე დაწერილი. მოვიყვანთ ერთ მათგანს. ლექსი ეკუთვნის მებრძოლ ელიზბარ ბედოიძეს:

„ლექსი უნდა ვთქვა ომებზე
ამ მიმდინარე ხნისაო...
ექვსი თვე იყო გასული
ორმოცდაერთი წლისაო.
რა მწარე დილა გათენდა
ოცდაორ ივნისისაო!
მოდგა საბჭოთა მიჯნასა
ჯარები ფაშიზმისაო,
მოიჭრნენ ორივე მხარეს
თეთრი და შავი ზღვისაო,
გადმოგვილახეს საზღვრები,
ნაგები ფოლადისაო,
გაჩურდა უნახი ბრძოლა,
გამოცდა ტექნიკისაო.
დადგა სისხლისა მორევი,
ზედ ნავი გაივლისაო.
კრემლიდან გამოდიოდა
ბრძანება სტალინისაო:
მტერი გაგვიჩნდა ძლიერი,
ის ცუდსა საქმეს იქსაო,
ფიცი გასტეხა, პირობა,
ნათქვამი ათი წლისაო.
უნდა შევკრიფოთ ძალები
საბჭოთა კავშირისაო,
უნდა გარდავქმნათ სამხედროდ
ჩვენი ცხოვრება დღისაო,
მტერს უნდა დავხვდეთ მედგრადა,
გმირებო ჩვენი მხრისაო,
როგორ დავკარგოთ ნაშრომი
ამდენი წლის და ხნისაო,
უნდა გავწყვიტოთ უკლებლივ
ჯარები ფაშიზმისაო,
მაგათ სამარედ გავხადოთ
მიწები რუსეთისაო!
— ძმებო, მაშ მტკიცედ ვასრულოთ
ბრძანება ბელადისაო,
სისხლი ვიძიოთ ძმებისა,
ჯავრი ვიყაროთ მტრისაო!
დასცხეს კავკასის ჯარებმა,
ვით ტალღებია ზღვისაო.
ისრისებიან ფრიცები,
ვითა გველები კლდისაო.
მტერს ველარ შველის მოსისხარს,
ტანკები გერმანისაო!
გამოდით, ყველამ ვიომოთ,
ბიჭებო ჩვენი მხრისაო,
ვუჩვენოთ თავდამსხმელებსა,
რომ სისხლი გვიდგას მთისაო.
ამ ლექსის გამომგონელი
ტელმიწურაში ზისაო,
გვერდს უდგას თავის „მაქსიმი"
თავზარდამცემი მტრისაო.
მოგესალმებით, სამშობლოვ,
ქედებო ჩვენი მხრისაო,
ცივო წყაროო, ტრფიალო,
ნადირო ტყის კლდისაო".

სამამულო ომის დღეებში შეიქმნა მშვენიერი პოეზია ქართველთა გმირობაზე, მაგრამ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ პოეზიის გვერდით სათანადო ადგილს დაიჭერს ბრძოლების უშუალო მონაწილეთა მრავალი ასეული ლექსი და პოემაც კი, რომლებიც იწერება ქართველ მეომართა მიერ ფრონტებზე შორეული კარელიიდან დაწყებული ქერჩამდე. საჭიროა ამ ლექსების შეგროვება და სისტემაში მოყვანა. ამ საქმეზე უნდა იზრუნოს საქართველოს მწერალთა კავშირმა.

მოქმედი არმია.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ 1944 წ. 11 მარტს, დღის 3 საათზე, აუდიტორია № 86 (მარქს ქ. № 1) ეკონომიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე **რაფიელ რაჟდენის-ძე მელაძე** დაიცავს დისერტაციას ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „სოციალისტური წარმოება და რეპროდუქცია სსრ კავშირში".

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი ს. ლ. ბერაძე, ეკონომიურ მეცნ. კანდიდატი დოცენტი ი. ხ. ზაჯაძე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი
აკად. ა. ჯანელიძე.

დედა მართა, შვილები არჩილ, კახაბერ, დები ნადია, ვერა, ოლია, სიძეები კლიმენტი, იონა შვილებით იუწყებიან **გიორგი პავლეს-ძე ჯაკობიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25/II, 7 ს. ვახუშტის 46. გამოსვენება 27/II, 2 ს. პედაგ. მეცნ. ინსტიტუტიდან, ჯავახიშვილის, 1.

ძმა პროფ. დ. ჯავახიშვილი ცოლით, შვილებით: თამარ, გივი ცოლ-შვილით, თინა, შოთა იუწყებიან **ევგენი (ჟენო) ვასილის-ძე ჯავახიშვილის** გარდაცვალებას.

ცოლი თეო, შვილები გუგული, ცუცა, რძალი ბაბუცა იუწყებიან **ივანე რატიანის** გარდაცვალებას. გამოსვ. 23/II, 4 ს. ორბელიანის, 38. 209

დეიდა მარო, ბიძა შალვა მარდალეიშვილები შვილებით იუწყებიან ექიმ **პეტრე კონსტანტინეს-ძე მანაგაძის** გარდაცვალებას. 210

ქეთო და ნინო ციციშვილები, ოთარ ქიაურელი იუწყებიან **კესარია გიორგის-ას. ტატიშვილის** გარდაცვალებას. პანაშ. 23/II 7 ს. გამოსვ. 24/II, 5½ ს. პეროვსკაია, 21.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, განათლებისა-ჯანმრთელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, წერილების—3-73-24, მორიგესა და გამოშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 91.800

შე 00066